ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 31 იანვარი, 2019

№25 (7880)

ფასი: 60 თეთრი

## რომან გოცირიძე: „ოცნებაში“ იქნება დუღილი, ერთმანეთის ცემა-ტყეპა, მაგრამ ოჯახიდან გასვლას ვერავინ შეძლებს“ გვ.3



31 იანვრიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

პატრიარქის ზაფხული

ქართული დეტექტივი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი




# „ივანიშვილს თუ ხელისუფლებაში დარჩენა უნდა, პრემიერად უნდა დაბრუნდეს“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „დღეს დრო ხელისუფლების სასარგებლოდ არ მუშაობს“

## „გახარიას გაპრემიერებას დასავლეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება“ გვ.2





„თემურ კუპატაძის თანამდებობა გახმაურებულ ტენდერებს შეეწირა“

ზვიად კუპრავა: „ივანიშვილის სავაჭრო ქსელში კანაფის ზეთი იყიდება“

## დიმიტრი მედოევი: „ადრე თუ გვიან, ოსი ხალხი ყაზბეგს დაიბრუნებს“



გვ.4

## ზაქარია ქუცნაშვილი: „საპარლამენტო სისტემაში მეტი დემოკრატიაა და მასზე იმიტომ გადავედით“ გვ.4



„ელიტურ და სისტემურ კორუფციას ადგილი არ აქვს“

სამართალი გვ.7

თბილისის №25 ბაგა-ბაღის აღმზრდელი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს



პიჯაკების საქმის ადვოკატი ბექა ბასილაია მოსამართლემ პროცესიდან გააძევა



ნათესავი მამაკაცი, რომელმაც მე-12 კლასის მოსწავლე ქორწინების მიზნით გაიტაცა, დააკავეს

ISSN 1987-9385

5 ექსპერტები კავკასიაში ახალი ცხელი წერტილების გაჩენას ვარაუდობენ

6 დავით ლორთქიფანიძე: „მურუსიძე მოსამართლეების კლანის ბელადია“

5 დიმიტრი ხუნდაძე: „თავისუფლება არ უნდა იყოს თავნებობის ტოლფასი“

8 ვაშინგტონმა გუაიდოს ამერიკულ ბანკებში ვენესუელის აქტივებზე წვდომა მისცა

# „გახარიას გაპრემიერებას დასავლეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება“

## „თემურ კუპატაძის თანამდებობა გახმაურებულ ტენდერებს შეეწირა“



შორენა მარსაგიშვილი

რატომ შემოიტანეს ქართველი ძალოვნებისთვის რუსეთიდან თაფლი, რატომ გადადგა საპატრულო პოლიციის უფროსი, რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი გახარიას გაპრემიერებას, სად და როგორ იყიდება თბილისში კანაფის ზეთი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– ამ წლის დასაწყისში მედიით გავასაჯაროვე ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ყვარლის რაიონის სოფელ შაქრიანში რამდენიმე ჰექტარზე გაშენებული იყო კანაფის პლანტაცია. წარმოვადგინეთ მთელი რიგი მტკიცებულებები. თავიდან შსს-ს ამ საქმის გამოძიებას არ აპირებდა, მაგრამ საზოგადოების აქტიურობის შედეგად გამოძიება დაიწყო.

გამოძიება დაიწყო 260-ე მუხლით, თუმცა ჩემთვის უცნობია, რა ეტაპზეა ახლა გამოძიება. მე არც ის ვიცი, რა ბედი ეწია შაქრიანში მოყვანილ ჰიბისკუს კანაბინუსის მოსავალს. მცენარე რამდენიმე ჰექტარზე იყო დათესილი და რამდენიმე ტონა მოსავალი იქნებოდა.

მწარმოებლები ამ ოდენობის მოსავალს ასე მალე ვერ გადაამუშავებდნენ, თუმცა ძალიან უცნაური დამთხვევის მომსწრე გავხდი – ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ „კარფურში“ აღმოვაჩინე კანაფის ზეთი. ზეთი 350 გრამიანი ბოთლებით იყიდება. 1 ლიტრი კანაფის ზეთი სადღაც 150 ლარამდე ჯდება.

***– ეს კანაფის ზეთი შემთხვევით აღმოაჩინეთ თუ რამე სამძებრო საქმიანობა აწარმოეთ?***

– სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე კანაფის ზეთი ივანიშვილის კუთვნილ სავაჭრო ქსელში. ეს შემთხვევითი დამთხვევა არ უნდა იყოს.

***– ეს კანაფის ზეთი იმ პლანტაციაში მოყვანილ მოსავალთან ხომ არ არის რაიმე კავშირში, რომელიც თქვენ კახეთში აღმოაჩინეთ?***

– არის თუ არა ეს ზეთი იმ კანაფთან კავშირში, რომელიც მე გადავიღე, ვერ გეტყვით, უბრალოდ, მე ფაქტს წავაწყდი. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს კანაფი პირდაპირ კავშირშია ივანიშვილთან.

ეს ადამიანი არც მალავს დაინტერესებას კანაფის მიმართ. მან თავად თქვა, რომ კანაფს 500%-იანი მოგება მოაქვს.

იმ კომპანიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც კახეთში პლანტაცია აქვთ გაშენებული, გვითხრეს, რომ ამჟამად დატესტვის რეჟიმში არიან და თუ კულტურა გაამართლებს, მაშინ გააგრძელებენ მის მოყვანას. იმედი მაქვს, რომ მეორე მოსავლის დათესვას ველარ მოასწრებენ, რადგანაც მათი მფარველი ივანიშვილი ძალიან მალე დამთავრდება.

***– კანაფს შევეშვათ და რას ფიქრობთ საპატრულო პოლიციის უფროსის, თემურ კუპატაძის, გადადგომაზე? რამ შეიწირა მისი თანამდებობა, გასულ წელს ინაუგურაციაზე მიმავალ ნაციონალებს კარგად ვერ ეკვეთა კახეთში თუ რა ხდება?***

– კუპატაძე დიდი ხნის წინ იყო მოსახსნელი. საპატრულო პოლიციას, მისი არსებობის მანძილზე, ასეთი ცუდი უფროსი არ ჰყოლია. მან ამ თანამდებობაზე დავით ცინარიძე ჩაანაცვლა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ საპატრულო პოლიციას ცინარიძეზე უარესი უფროსი ეყოლებოდა, მაგრამ კუპატაძემ ეს შეძლო.

***– მისი უარესობა რაში გამოიხატება?***

– თუნდაც იმ ქმედებებში, რაც მან კახეთში ჩაიდინა. ინაუგურაციის გასაპროტესტებლად მიმავალ ოპოზიციონერებს ის პირდაპირ ეკაჩავა. სამართალდამცავს ასეთი რამ არ უხდება. საპატრულო პოლიცია არის ხალხის და ქვეყნის სამსახურში. ამ ხალხის ნაწილია ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობაც. მათ შორის, ნიკა მელია და დავით კირკიტაძეც.

იქ თემურ კუპატაძე ვიხილეთ, როგორც მხარე. ის პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა. მისი საქციელი ძალიან ცუდი შესახედავი იყო, საპატრულო პოლიციის უფროსი იქ სალომე ზურაბიშვილის დამცველად მოგვევლინა.

***– ამისთვის დასაჯა ვითომ გახარიამ?***

– ამისთვის არ გადაუყენებია. კუპატაძის გადადგომა, სავარაუდოდ, ისევ კლანურ დაპირისპირებას უკავშირდება. ტენდერებთან დაკავშირებით იყო რაღაც უთანხმოებები. კუპატაძის და მისი ცოლის ნათესავებს ძალიან ბევრ ტენდერში აქვთ მონაწილეობა მიღებული. რაღაც ტენდერი ვერ გაიყვეს და ეს საპატრულო პოლიციის უფროსის შეცვლით დასრულდა.

***– ეს ცვლილება ძალოვნებში დაწყებულ ცვლილებებს ხომ არ უკავშირდება? გავრცელებული ხმების თანახმად, ძალოვანი სტრუქტურები გახარიას კადრებით კომპლექტდება.***

– ეს ხმები არ არის. რამდენიმე თვის წინ გითხარით, რომ პროკურატურა შს მინისტრის კადრებით დაკომპლექტდა. ახლა სუს-ს და შსს-ს აკომპლექტებს თავისი ტიპებით. ასეთი გადაადგილებები იმაზე მიუთითებს, რომ დღეს ხელისუფლებას გახარია აკონტროლებს.

ის ერთადერთი პირია, რომელიც ბიძინას სისტემის დამცველად გვევლინება. ამიტომაც ჩაბარდა მას ძალოვანი უწყებები. მის გაპრემიერებაზეც მიდიოდა საუბრები, მაგრამ არ გამოვიდა. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, შს მინისტრის პრემიერად წარდგენას დასავლურმა ქვეყნებმა შეუშალეს ხელი. ოლიგარქის დიდი სურვილის მიუხედავად, გახარია მთავრობის მეთაური ვერ გახდება.

***– რას უწუნებენ შს მინისტრს დასავლეთში?***

– რუსულ წარსულს. ივანიშვილს სწორედ ეს მოსწონს, მაგრამ დასავლეთის გაღიზიანებაც არ უნდა. ეშინია, სანქციები მასაც არ დაუწესონ.

მართალია, ოფიციალურად ვერ დანიშნა სასურველი კანდიდატი პრემიერად, მაგრამ მთელი გავლენები მაინც მის ხელშია. მამუკა ბახტაძე რეალურად ვერაფერს მართავს. გახარიას, მასთან შედარებით, ძალიან დიდი გავლენები აქვს.

***– ეტყობა, მართლაც დიდია მისი გავლენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ივანიშვილის ძმის ნათელ-მირონის, კუპატაძის, გადაყენებას ვერ გაბედავდა.***

– კუპატაძე და ივანიშვილის ძმა, ადიკო, ნათელ-მირონები არიან და ის ალბათ ამიტომაც იყო ამ თანამდებობაზე.

***– მოსამართლე გვრიტიშვილს თუ დავუჯერებთ, კანონის მიხედვით, ნათელ-მირონობა ნათესაობა არ არის.***

– მათი ლოგიკით, არც დედაა ნათესავი და ოჯახის წევრი, მაგრამ რეალობა სულ სხვაა.

***– ამ ადიკო ივანიშვილის ნათელ-მირონის მოხსნის გადაწყვეტილება გახარიამ თავისი ძალებით გაბედა თუ ბიძინასგან მიიღო კურთხევა?***

– ივანიშვილის ნებართვის გარეშე ეს არ გაკეთდებოდა. გახარია ივანიშვილის წინააღმდეგ არ წავიდოდა. შეიძლება ბიძინას ჰქონდა რაღაც ეჭვები საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსთან დაკავშირებით.

***– ეჭვები ჰქონდა და საპატრულოს უფროსად აჩერებდა?***

– ასე კვირიკაშვილიც ჰყავდა პრემიერად, მაგრამ მის მიმართ თურმე დიდი ეჭვები ჰქონდა. ეს ამბები კულუარებიდან ახლახან გამოვიდა. იგივე შეიძლება ხდებოდეს კუპატაძესთან დაკავშირებით. ეს ამბავიც მალე გამოვა გარეთ. როცა საქმე დიდ ფულს და ძალაუფლებას ეხება, იქ ნათელმირონობა აღარ ჭრის.

ფაქტი ის არის, რომ ხელისუფლება მთლიანად გახარიას ჩაბარდა. სად გადაიკვეთა მისი და კუპატაძის გზები, ეს ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც ამბობენ, არრა არს რა დაფარულ, რომელი არა გაცხადდეს.

დღეს ერთი რამეა ნათელი, რომ „ქართული ოცნების“ მთავარი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ხნით დარჩეს ხელისუფლებაში. იმდენად დიდ დანაშაულებრივ სპირალში არიან შესული, ფულის შოვნას ვგულისხმობ, რომ ხელისუფლება თავის გადასარჩენად უნდათ.

ხელისუფლებიდან როგორც კი ჩამოშორდებიან, ეგრევე მოუწევთ პასუხისგება. ამიტომაც არ აღიარეს საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხება. ყველაფერი იკადრეს, რომ სასურველი შედეგი მიეღოთ.




### ზვიად კუპრავა: „ივანიშვილის სავაჭრო ქსელში კანაფის ზეთი იყიდება“



***– გახარია და რუსეთი ვახსენეთ და ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ საქართველო ძალოვნებისთვის რუსეთიდან შეიძენს მილიონზე მეტი ღირებულების თაფლს. რუსულ თაფლს რამე განსაკუთრებული თვისებები აქვს?***

– საქართველოში მეფუტკრეობა კარგად არის განვითარებული. ჩვენი მეფუტკრეები აცხადებენ, რომ მათ ორი წლის მარაგი თაფლი დარჩათ, რადგანაც მისი რეალიზება ვერ მოახერხეს, საქართველოში ვერ გაყიდეს და ვერც ექსპორტზე გაიტანეს.

როცა საქართველოში არის თაფლის მარაგი, არ მესმის, რატომ უნდა შემოვიტანოთ ის სხვა ქვეყნიდან, გინდა ეს ქვეყანა ჩვენი მეგობარი იყოს. რუსეთი კი, საიდანაც თაფლს ვყიდულობთ, ოკუპანტი ქვეყანაა. მტერთან თანამშრომლობა არ შეიძლება.

ეს ერთი მილიონი ლარი რუსეთისთვის არაფერი არ არის, ეკონომიკურად მას არანაირი სარგებელი არ ექნება. აქ რაღაც კორუფციულ გარიგებასთან გვაქვს საქმე.

ამ თემასთან კავშირში არ არის, მაგრამ მინდა გამოვეხმაურო ირაკლი კობახიძის ერთ განცხადებას. პარლამენტის სპიკერმა ეკა ბესელიაზე ჩანაწერების გავრცელებას ამორალური უწოდა.

ასეთი ჩანაწერის გავრცელება ამორალურია, მაგრამ კობახიძეს სხვის ამორალურობაზე საუბრის უფლება არ აქვს.

გასული წლის 2 ივნისს ამხელა პარლამენტის თავმჯდომარე ტრიბუნიდან გადმოდგა და მე, რიგით მოქალაქეს, მლანძღავდა. ამტკიცებდა, 9 წლის მანძილზე რაც ხდებოდა, ყველაფრის სულისჩამდგმელი ეგ იყოო.

***– თქვენზე თქვა?***

– ჩემზე ამბობდა. როგორ შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარე ამას ამბობდეს იმ ადამიანზე, რომელსაც წინა ხელისუფლების დროს პატრულ-ინსპექტორზე მაღალი თანამდებობა არ მქონია. ჩემს ხალხს და სახელმწიფოს ყოველთვის პატიოსნად ვემსახურებოდი.

ასეთი მანიაკი და 9 წლის შემოქმედი თუ ვიყავი, რაღა სხვისი თეფშიდან ჭამის გამო გამასამართლეს? სხვა დანაშაული ვერ მიპოვეს. როგორც კობახიძე ამბობს, მე ვყოფილვარ სისხლიანი 9 წლის შემოქმედი.

აქვე სალომე ზურაბიშვილის ინიციატივასაც მინდა გამოვეხმაურო. გაპრეზიდენტების შემდეგ მისი პირველი განცხადება ცილისწამების მუხლის აღდგენას ეხებოდა.

ძალიან უხერხულია, როცა ამის ინიციატორი არის ქალი, რომელიც სხვებს სწამებდა წილს. ის გასულ წელს ჩემზე სოციალურ ქსელში წერდა, რომ მე ზონდერი და სახელმწიფოს მტერი ვიყავი. აი, ასეთი ცილისმწამებელი ადამიანი ითხოვს ცილისწამების მუხლის აღდგენას.

ამ ცილისწამებასთან დაკავშირებით მე მას პასუხი მოვთხოვე, როცა დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე ვიყავი მისული. ამ კომისიის წევრი იყო სალომე ზურაბიშვილიც და მე მას დავუსვი კითხვა.

იმის ნაცვლად, რომ პასუხი გაეცა, ადგა და გაიქცა.

# საქართველოს მთავრობა რუსულ თაფლს აღარ შეისყიდის

## შპს „ვითი“ ტენდერიდან მოხსნეს

კომპანია, რომელსაც რუსეთიდან შსს-ს სამსახურებისთვის თაფლი უნდა შემოეტანა, ტენდერიდან მოხსნეს.

ამის შესახებ განცხადებას შესყიდვების სააგენტო ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, შპს „ვითი“-მ ვერ დააკმაყოფილა სატენდერო პირობები.

„აღნიშნულ ტენდერში დაბალი ფასის შემოთავაზების მქონე კომპანიამ „ვ.ტ“ მოქმედი კანონმდებლობისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგინა ნატურალური თაფლის ნიმუში.

სატენდერო კომისიამ შეაფასა წარმოდგენილი ნიმუში.

კომისიის გადაწყვეტილებით, პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია, ვინაიდან წარმოდგენილი ნიმუში არ აკმაყოფილებდა სატენდერო დოკუმენტაციითა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს,“ – ნათქვამია განცხადებაში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნებაში“ იქნება დუღილი, ერთმანეთის ცემა-ტყეპა, მაგრამ ოჯახიდან გასვლას ვერავინ შეძლებს“

ნონა ცაბაძე

## რომან გოცირიძე: „საზოგადოებამ ხელისუფლებას ყვითელი ბარათი აჩვენა“



ენდიაის კვლევების შესახებ „ახალ თაობასთან“ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე საუბრობს.

***– ბატონო რომან, ენდიაის კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა დიდი ნაწილი ხელისუფლებას არადემოკრატიულს უწოდებს და მას უნდობლობას უცხადებს. როგორია თქვენი შეფასებები?***

– ამ კვლევის მთავარი დასკვნა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოებამ გააცნობიერა, თუ რა უბედურება დაატყდა თავს. მოსახლეობას მიაჩნია, რომ საქართველო არ არის დემოკრატიული სახელმწიფო. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ ქვეყანაში არ არის დემოკრატია. მაშინ რა არის, ერთპარტიული მმართველობაა? სამწუხაროდ, ერთპარტიული მმართველობაც არ არის ჩვენს ქვეყანაში.

***– აბა რა არის?***

– ქვეყანაში არის ერთი ადამიანის მმართველობა, ანუ საქართველოში არის არაფორმალური მმართველობა, ქვეყანა იმართება არაკონსტიტუციური მეთოდებით, არალეგიტიმური მმართველობაა.

***– ეს ითქვა ამ დასკვნით?***

– დიახ. ამ დასკვნას კიდევ უფრო აძლიერებს ანალოგიური შედეგი მთავრობის მუშაობის შეფასებისას – მოსახლეობის ნახევარი ამბობს, რომ მთავრობა მუშაობს ცუდად. როგორ შეიძლება საქართველოს მთავრობა მუშაობდეს კარგად, თუ ქვეყანაში არაა დემოკრატია, თუ მთავრობაზე კონტროლს ვერ ახორციელებს ხალხი, მთავრობას კი არ აყალიბებს გამარჯვებული პარტია, „ქართული ოცნება“, არამედ მთავრობას აყალიბებს ერთი კაცი. მხოლოდ მის ხუშტურებზეა დამოკიდებული, ვინ იქნება მინისტრი, ან ვინ არ იქნება, ან როდის მოხსნის პრემიერ-მინისტრს, ან როდის არ მოხსნის.

პარტიის თავმჯდომარეობა არ ნიშნავს მთავრობის ან პარლამენტის მუშაობაში პირდაპირ ჩარევას. ძალიან ტყუილად ჰგონიათ, რომ პარტიის ლიდერობა ნიშნავს კანონზე მაღლა დგომას.

***– რას იტყვით კვლევის სხვა შედეგებზე?***

– კვლევის ყველა პუნქტის შედეგი არასახარბიელოა. ხალხი აღნიშნავს ქვეყანაში სიღარიბის ზრდას, უმუშევრობას, სასამართლო სისტემის დეგრადირებას. ქვეყანაში არის სერიოზული პრობლემა და ქვეყნის მართვა შეუძლებელია ამ ფორმით.

***– ანუ ეს კვლევა გამოძახილია იმის, რაც რეალურად ჩვენს ქვეყანაში ხდება?***

– ეს არის თითის დაქნევა და ყვითელი ბარათის ჩვენება საზოგადოების მხრიდან, რომ ხალხი კარგად ხედავს, რაც ხდება ქვეყანაში, რომ არაა დემოკრატია და როცა დემოკრატია ქვეყანაში არ არის და ამას საზოგადოება აცნობიერებს, შემდეგ ხდება მოთხოვნა დემოკრატიული სისტემის ფორმირების და ამის ერთადერთი საშუალებაა არჩევნები.

გაყალბებული არჩევნები არის ცუდი განცდა. როცა ხალხს არ აქვს იმის განცდა, რომ შეუძლია, არჩევნების გზით შეცვალოს ხელისუფლება, ეს ძალიან სახიფათოა.

***– პარტიების რეიტინგზე რას იტყვით?***

– პარტიების რეიტინგი არ იცვლება, დაახლოებით თანაბარია, მაგრამ მომავალში ხალხის განცდა, რომ დემოკრატია არ არის, აუცილებლად ჰპოვებს ასახვას პარტიების რეიტინგზე სამომავლოდ და ეს კარგად გამოჩნდება არჩევნებში.

დემოკრატიის დასამყარებლად საჭიროა ოპოზიციის გაერთიანება. დაქსაქსულ ოპოზიციას ნაკლები შანსი ექნება. ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს ხელისუფლების შესაცვლელად, რათა ეს არაფორმალური მმართველობა ჩანაცვლდეს დემოკრატიული მმართველობით.

***– ვხედავთ, რაც ხდება მმართველი პარტიის შიგნით. ბრძოლა აკრძალული მეთოდებით, ფარული ჩანაწერები კვლავ აქტუალურია. საკუთარ თანაგუნდელებსაც აღარ ინდობენ?***

– ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ყველა ხერხს მიმართავენ. ყველა მსგავსი ფარული ჩანაწერები მართული იყო ხელისუფლების სასარგებლოდ, ოპოზიციის, ან „ოცნებიდან“ წამოსული ნაწილის საწინააღმდეგოდ. თუ რა მიზანი ჰქონდა ამას და რისკენ იყო მიმართული, ეს უკვე ნათელია.

6 წელია, არაფერი გამოუძიებიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არის ხელისუფლების გაკეთებული. აქ სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამავე დროს, ეს არის მუქარა, რომ ფრთხილად იყავით, ნახეთ, როგორ მოვექეცით ჩვენს ყოფილ თანაგუნდელებს.

ეს არის გაფრთხილება სხვების მიმართაც, რომ არაფერზე არ დავიხევთ უკან. ვინც წავა გუნდის წინააღმდეგ, ასე მოვექცევით.

***– რას ელოდებით?***

– ვხედავთ, რომ არც კომპრომატების ფრიალმა უშველა და მთელი ინტელექტუალური ნაწილი გავიდა ამ კოალიციიდან. ახლა უკმაყოფილების მეორე ტალღა წამოვიდა.

***– მივლენ 2020-მდე?***

– არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, „ქართული ოცნებიდან“ ერთი ფრაქცია გამოეყოფა თუ არ გამოეყოფა. ფაქტია, რომ ამათ გაერთიანებას უკვე ვერაფერი შეძლებს და ეს არის იძულებითი თანაცხოვრება.

არის ერთმანეთისადმი სიძულვილი, დაყოფილები არიან ჯგუფებად, მაგრამ არავითარი რესურსი არ გააჩნიათ ცალ-ცალკე პოლიტიკური არსებობისა. მათ ერთი კაცი, ბიძინა ივანიშვილი, აერთიანებს.

იქნება დუღილი, ერთმანეთის ცემა-ტყეპა, მაგრამ ოჯახიდან გასვლის შანსი ნაკლებად არის. იმიტომ, რომ ცალკე არსებობა არ შეუძლიათ. ერთმანეთთან თანაცხოვრებისთვის არიან განწირულნი, ისინი სხვანაირად ვერ იარსებებენ. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ რაღაც ჯგუფები მაინც გავიდნენ.

***– რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ დემოკრატიულად ჩაატარებენ არჩევნებს?***

– რამდენიმე არჩევნებმა გვაჩვენა, რომ ხდება არჩევნების არასამართლიანად ჩატარება, მაგრამ როდესაც გროვდება ამდენი პრობლემა, საზოგადოება აცნობიერებს, რაც ხდება, მერე აღარავინ პატიობს.

ამიტომ 2020-ში ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება არ შერჩება. არ უნდა გაბედოს, თორემ დაუმთავრდება ცუდად.

# „ივანიშვილს თუ ხელისუფლებაში დარჩენა უნდა, პრემიერად უნდა დაბრუნდეს“

ნათია ხურცილავა



## სოსო ცინცაძე: „დღეს დრო ხელისუფლების სასარგებლოდ არ მუშაობს“



პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, სასამართლო სისტემით დაწყებული პროცესი პოლიტიკურ პროცესში გადაიზარდა. როგორ შეიძლება არსებული ვითარებიდან გამოვიდეს ხელისუფლება? შეიძლება ვთქვათ, რომ ეს პროცესი ჩიხშია შესული?***

– მთელ ამ პროცესს ხელისუფლება მოუმზადებელი შეხვდა. მოსამართლეების სკანდალი რომ მოხდებოდა, ასევე, გუნდის შიგნით დაპირისპირება გარდაუვალი რომ იყო, ამის პროგნოზირება ყველაზე მარტივი იყო და ამისთვის დიდი ანალიტიკოსობა არ იყო საჭირო.

რატომ ვერ გათვალა ხელისუფლებამ ეს რისკები?! ამ კითხვაზე პასუხი ბანალურია – ხელისუფლებას არ ჰყოფნის კომპეტენცია. ელემენტარულად „ქართულ ოცნებაში“ და, საერთოდ პოლიტიკურ ელიტაში, მე დღეს პოლიტიკოსი არ მეგულება. „პოლიტიკოსი“ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში დაბრუნების რამდენიმე მიზეზი დაასახელა. ერთ-ერთი მიზეზი იყო: პოლიტიკაში დავბრუნდი იმიტომ, რომ გუნდი დაშლის პირას იყოო. დღეს რას ვხედავთ?! გუნდი იშლება. ამაში ტრაგედია არც არაფერია, მაგრამ ეს პროცესები აისახება ქვეყნის ცხოვრებაზე და ამიტომ არის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი.

დღეს „ქართულ ოცნებაში“ კრიზისების მართვის მენეჯერი არ ჩანს.

***– ბიძინა ივანიშვილი ვერ მართავს კრიზისებს?***

– როგორც ჩანს, ვერა. მას პოლიტიკა არ უყვარს და არც არის პოლიტიკოსი. შეიძლება მაღალი დონის მენეჯერი იყო, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი ხარ და პოლიტიკის მენეჯმენტი შეგიძლია. ეს სულ სხვა სფეროა.

გადახედეთ, როგორ ხდება დასავლეთში, მაგალითად, ევროპაში, ამერიკაში. იქ მთავარი წამყვანი არის პოლიტიკოსი, პოლიტიკური პარტია, სისტემას კი პროფესიონალები მართავენ. ჩვენთან კი ასე არ არის. პოლიტიკური პროცესის სამართავად პოლიტიკოსია საჭირო და სხვა არავინ.

დღევანდელი პარლამენტი თავისი უფლებამოსილებებით მკვეთრად განსხვავდება 5 წლის წინანდელი პარლამენტისგან. მე ვგულისხმობ საკონსტიტუციო ცვლილებებს. ამ პროცესმა გამოაჩინა, რომ ამ მოწვევის პარლამენტმა იმხელა ტვირთი წამოიკიდა, რომლის ზიდვის თავი მას არ აქვს.

***– საპარლამენტო რესპუბლიკაზე აკეთებთ აქცენტს?***

– სწორედ ეს მაქვს მხედველობაში. კონსტიტუციით დღეს ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, ანუ ქვეყნის მართვის მთელი სიმძიმე სწორედაც რომ პარლამენტზე მოდის და სხვა არც ერთ უწყებაზე, სხვა არც ერთ ხელისუფლების შტოზე.

სწორედ პარლამენტი განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკას, მართვას და ამ დროს რა ხდება მმართველ პარტიაში?! ეს დაპირისპირება რომ ყოფილიყო თუნდაც წინა მოწვევის პარლამენტში, გასაკვირი არც იქნებოდა, რადგან პარლამენტი არის ის ადგილი, სადაც პოლიტიკა კეთდება და ეს ნორმალურიც კი არის, მაგრამ საუბარია საპარლამენტო რესპუბლიკაზე, რომლის მთავარი ღერძი სწორედ პარლამენტია. მათ შიგნით ვერ გაურკვევიათ ერთმანეთში, რა და როგორ და ქვეყანა როგორ უნდა მართონ?!

ეს ლეგიტიმური კითხვაა. არაფერი არ გააკეთა პოლიტიკურმა ელიტამ იმისთვის, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას მომზადებული შეხვედროდა და სხვა პარლამენტი მიგვეღო და არა – ტრადიციული ქართული პარლამენტი, რომელიც ზვიადის დროიდან მოდის.

როდესაც ძლიერი პრეზიდენტი გყავს, მაინც ის იღებს თავის თავზე, ასე იყო შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს. და ასე იყო ბიძინა ივანიშვილის დროსაც, როდესაც ის პრემიერი იყო. ივანიშვილი დღესაც არის პირველთა შორის პირველი, მაგრამ ფორმალური პოსტი მაინც სხვა არის.

***– ბატონო სოსო, რამდენად გრჩებათ აღქმა, რომ „ქართული ოცნების“ ერთიანობის შენარჩუნება უკვე ხელოვნურ სახეს იღებს?***

– სავსებით გეთანხმებით. ამ ორ გუნდს უკვე აღარაფერი აერთიანებს. მათი ერთიანობა მართლაც უკვე ხელოვნურია, მაგრამ რა ხდება, რატომ ხდება ერთიანობის შენარჩუნება? მე მაინც ვფიქრობ, რომ აქ ტაქტიკის ამბავია. ერთი ფრთა, რომელსაც მეტი პოლიტიკური გამოცდილება აქვს მეორესთან შედარებით და რომელიც პოლიტიკის ელემენტებს ფლობს, მოვლენათა განვითარებას აკვირდება. ეს უკვე არის პოლიტიკური ტაქტიკა. ვნახოთ, რა მოხდება.

***– საქართველოში გაზაფხული ყოველთვის რთული იყო ხელისუფლებისთვის. რაღაც პროცესები უკვე დააანონსა ოპოზიციამ. ამ პროცესს რამეს შესძენს ოპოზიცია?***

– დიახ, გაზაფხული რამდენიმე მიმართულებით არის რთული ხელისუფლებისთვის. რაც არ უნდა მოხდეს, ოპოზიცია გამოვა თუ არა, როგორი იქნება მათი მხარდაჭერა ხალხში, მიუხედავად ამისა ხელისუფლება მძიმე გაზაფხულისთვის არის განწირული.

***– თუ ვითარება გართულდა, შეიძლება ივანიშვილი პრემიერის პოსტს დაუბრუნდეს?***

– ეს იქნებოდა შექმნილ ვითარებაში ერთადერთი სწორი და პრაგმატული გადაწყვეტილება თავად პარტია „ქართული ოცნებისთვის“. თუ ბიძინა ივანიშვილს უნდა ხელისუფლებაში დარჩენა, შენარჩუნება, მაშინ მას ალტერნატივა არ აქვს, ის უნდა დაბრუნდეს.

დღეს ბატონი ბიძინა აღარ არის 2012 წლის, 2013, 2014 წლის ლიდერი, ეს ჩანს თუნდაც იმ პროცესებიდან, რომლებიც მის პარტიაში მიდის. მაშინ მას გაუბედავდნენ იმას, რაც დღეს „ქართულ ოცნებაში“ ხდება?!

აქ კიდევ ერთი მთავარი და მნიშვნელოვანი კითხვა მოდის წინა პლანზე: რა დონის რესურსი გააჩნია ივანიშვილს?! საპრეზიდენტო არჩევნების პირველმა ტურმა ამ კითხვას მაინცდამაინც დამაჯერებელი პასუხი ვერ გასცა.

***– თქვენ ამბობთ, რომ ეს რესურსი განუსაზღვრელი არ არის?***

– რა თქმა უნდა, განუსაზღვრელი არ არის. მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს იქნება გადამწყვეტი. მისი ფაქტორი უკვე შედეგის განმსაზღვრელი აღარ არის. მე აღარ მიკვირდა, შევარდნაძეს კარტოფილისა და ხახვის დარიგება რომ სჭირდებოდა, მაგრამ როდესაც ივანიშვილსაც ეს დასჭირდა, ეს უკვე ნიშნავს, რომ „ოცნებამ“ განგაშის ზარებს უნდა შემოჰკრას.

***– მიუხედავად იმისა, რომ რეალური ალტერნატივა არ არსებობს?***

– ალტერნატივა არსებობს, თანაც საშინელი – ეს არის ქაოსი. ალტერნატივა ყოველთვის არის, გააჩნია ალტერნატივას. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ცუდსა და უარესს შორის არჩევანი მოსახლეობას მობეზრდა თუ არ მობეზრდა. ახლა ყველას ერთი საერთო მტერი ჰყავს – ეს არის აპათია, რომელშიც არის ჩვენი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა. ეს ყველა პოლიტიკური ძალისთვის დამღუპველია.

არჩევნებამდე ჯერ კიდევ არსებობს დრო, რომ ოპოზიციამ ზუსტი სვლები გააკეთოს, მაგრამ არა საკმარისი დროა იმისთვის, რომ მმართველმა პარტიამ ისე შეცვალოს ცხოვრების დონე, რომ ის ცაიტნოტში არ აღმოჩნდეს.

დღეს დრო ხელისუფლების სასარგებლოდ არ მუშაობს.

# ზაქარია ქუცნაშვილი: „საპარლამენტო სისტემაში მეტი დემოკრატიაა და მასზე იმიტომ გადავედით“

**ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმეტესობა პარლამენტის საქმიანობას უარყოფითად აფასებს და თვლის, რომ დეპუტატები არაეთიკურად იქცევიან, ხოლო მაჟორიტარ დეპუტატებს არ იცნობენ. უმეტესობა იმასაც მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში კორუფცია მეტ-ნაკლები დოზითაა. ასევე მიაჩნიათ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს.**

**რით შეიძლება აიხსნას საზოგადოების განწყობა და რა პასუხი აქვთ მმართველ გუნდში კვლევაში გამოთქმულ პოზიციებთან დაკავშირებით? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ზაქარია ქუცნაშვილი საუბრობს.**



იაგო ნაცვლიშვილი

***– რატომ არ იცნობს მოსახლეობის უმეტესობა მაჟორიტარებს და რატომ ამბობს, რომ ისინი არ ინტერესდებიან პრობლემებით?***

– ერთი მიზეზია ჩვენი საარჩევნო სისტემა. უკვე 20 წელზე მეტია, მნიშვნელობა აღარ ენიჭება ამომრჩეველთა რაოდენობას. 10%-ც რომ მოვიდეს, იქიდან მოხდება ამომრჩეველთა 50%-იანი ბარიერის ათვლა. აქედან გამომდინარე, ვის შეხვდა ენდიაი და ვინ გამოკითხა, ეს არ ვიცი. შეიძლება შეხვდა ისეთ ადამიანს, ვისაც არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

მეორე მიზეზი იმაში გახლავთ, რომ რეალურად ადამიანები დაინტერესებულები არ არიან პოლიტიკური ცხოვრებით, რაც მე ძალიან მომწონს. ამერიკაშიც და ევროპაშიც სენატორების არაცნობადობის ხარისხი 70-80%.

ადამიანს არ აინტერესებს პოლიტიკური ცხოვრება, მას თავისი სამოქალაქო ცხოვრება აქვს. მისდევს საზოგადოებრივ ან სამოქალაქო ცხოვრებას. საქართველოს გადმოსახედიდან ჩვენთან ეს მაჩვენებელი მაღალი მაინც არ არის.

***– ეს გასაგებია, მაგრამ არ გგონიათ, რომ მაჟორიტარებშიც არის პრობლემა?***

– რა თქმა უნდა. როგორც ყველგან, ყოჩაღები და სუპერყოჩაღები, ზარმაცები და სუპერზარმაცები ყველგან არსებობს. ჩვენთან არსებობს მაჟორიტარების მოვალეობების არასწორი წარმოდგენაც. ჩვენ ვიცით მაჟორიტარებს მოსახლეობის რა კითხვებზე უწევთ პასუხის გაცემა. ეს ერთი ქრესტომათიაა. გეკითხებიან ყველაფერს, ეს შენ გეხება თუ არა. თუ გულისხმიერი ადამიანი ხარ, ვალდებული ხარ, მიეხმარო. ერთია გულისხმიერება, ხოლო მეორე – მოვალეობები.

***– იმ ფაქტს რითი ახსნით, რომ გამოკითხულთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ პარლამენტარები არაეთიკურად იქცევიან და საქმეს არ აკეთებენ?***

– მე ვფიქრობ, რომ არაეთიკურობა ჩვენი საზოგადოების თანამედროვე გამოწვევაა. სოციალური ქსელების შემოსვლამ ხელი შეუწყო აგრესიას და უხამსობას საჯარო სივრცეში. ფეისბუქი საფრთხეა გაბრაზებული და წარუმატებელი და ზოგიერთ შემთხვევაში უზრდელი ადამიანების პოსტების თვალსაზრისით. ხშირად ამით გამოხატავენ აგრესიას.

წამიკითხავს ისეთი პოსტები, მაგალითად, როგორიცაა, რომ ინდოელი გოგონა როგორ გათხოვდა ინდოეთში. ავიწყდებათ, რომ სიყვარულს არ აქვს ეთნიკური ნიშანი და არ შეიძლება ამ ნიშნით დაყოფა. სამწუხაროდ, ანონიმური წერილების აკრძალვის ფონზე სოციალურმა ქსელებმა, როგორც გამოხატვის თავისუფლების განუსაზღვრელმა საშუალებამ, ხელი შეუწყო აგრესიას.

***– ეს გასაგებია, მაგრამ დეპუტატებთან რა კავშირშია? რას უსვამთ ხაზს?***

– დეპუტატებიც ამ საზოგადოების ნაწილია. ეს დეპუტატებიც მათი არჩეულია. საზოგადოებაში რომ იყოს პრობლემა და დეპუტაციაში არ იყოს, ეს ადეკვატური არ იქნება. რა განწყობებიც საზოგადოებაშია, დაახლოებით ისეთივეა დეპუტაციაშიც.

***– კიდევ ერთ გამოწვევად დასახელებულია კორუფცია. მიაჩნიათ, რომ კორუფცია მეტ-ნაკლები დოზით ყველა სტრუქტურაშია. როგორ აპირებთ ასეთი განწყობის გაქარწყლებას?***

– რთული შეკითხვაა. უზნაძის განწყობის თეორიამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში განწყობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალობა. ყველა ავტორიტარი და დიქტატორი ამით მუშაობს, რომ პოზიტიურ განწყობას ქმნის. ჩვენ გვაცხოვრეს საბჭოთა კავშირში, რომელიც ყველა ნიშნით ნომერ პირველი ქვეყანა გვეგონა. გაიხსნა თუ არა ფარდა, სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით.

მიხეილ სააკაშვილი გვარწმუნებდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო აეროპორტს აშენებდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სახით. ქართველებმა როცა ნახეს ფრანკფურტის, სტამბულისა და ლონდონის აეროპორტები, მიხვდნენ, რომ ჩვენი აეროპორტი მათთან შედარებით თვითმფრინავების სადგომია. განწყობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ხელისუფლება უნდა ცდილობდეს, რომ განწყობა და რეალობა ერთმანეთთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

***– პირდაპირ გკითხავთ, არ გგონიათ, რომ კორუფციაა? ჩემს კითხვაში კორუფციის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯებს ვგულისხმობდი.***

– კორუფცია იყო და არის. კორუფცია სოციალური გამოვლინებაა, დანაშაულისა და პროსტიტუციის მსგავსად, ესეც სოციალური მოვლენაა. სადაც ადამიანია, იქ იქნება დანაშაულიც და კორუფციაც.

***– თუმცა აქ ხარისხობრივ მდგომარეობაზეა საუბარი.***

– ელიტარულ კორუფციას ან სისტემურ კორუფციას თუ გულისხმობთ, ასეთ რამეს ადგილი არ აქვს. ასეთ რამეს ვერ დაასახელებთ, რომ ძალადობრივი გზით იყოს რაღაცა მონოპოლია ან ვიღაც ცდილობდეს იმას, რომ ვიღაცას წაართვას თავისი საქმიანობა. მაგრამ ინდივიდუალურ შემთხვევებს მე არ გამოვრიცხავ. იქნებიან ქურდებიც, მექრთამეებიც და ფულის მპარველებიც.

## „ელიტურ და სისტემურ კორუფციას ადგილი არ აქვს“

***– კორუფციის ინდივიდუალური შემთხვევების შესახებ ხშირად ვიგებთ, მედიაშიც ხვდება ფაქტები. სუს-მაც დააკავა 1 კვირის წინ მაღალჩინოსნები.***

– დიახ. ამის თაობაზე მეც ვიცი.

***– ამ ყველაფერს მაინც განწყობებით ხსნით და არა – რეალური საფუძვლით?***

– ვიმეორებ. ვთქვი, რომ კორუფციული შემთხვევები იქნება-მეთქი, ისევე, როგორც დანაშაულებრივი. ჩვენ ვერ ავაშენებთ ისეთ საზოგადოებას, სადაც ასეთ დანაშაულებსა და კორუფციის ფაქტებს გამოვრიცხავთ. ჩვენ კი არა, ამერიკამ და ევროპამ ვერ ააშენა ასეთი სახელმწიფო. ხდება ასეთი რაღაცები. ავადმყოფები ყველგან არსებობს, ბოდიშს ვიხდი ამ სიტყვისთვის.

მთავარია, რომ სახელმწიფომ იმუშაოს ეფექტურად და სისტემური ხასიათი არ მიეცეს მას და ინდივიდუალური გამოვლინებები დროულად იყოს აღკვეთილი, იქნება ის ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერი თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი.

კომუნისტებს სჯეროდათ და გვარწმუნებდნენ, რომ მათ საზოგადოებაში არ იყო დანაშაული, სექსი და ქურდობა. ერთიც იყო, მეორეც და მესამეც. ამავე დროს, ყველაზე რეპრესიულ მეთოდებს იყენებდნენ.

***– პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევას მოსახლეობის უმეტესობა ემხრობა. ეს არც ყოფილა გასაკვირი, რადგან, მმართველი გუნდის გარდა, ამაზე პრაქტიკულად ყველა თანხმდება. რა კომენტარს გააკეთებთ ამაზე?***

– ჩვენ როდესაც სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან და სომხეთთან ერთად გადავედით საპარლამენტო მმართველობის სისტემაზე, ეს გავაკეთეთ იმიტომ, რომ ერთპიროვნული მმართველობიდან ქვეყანა კოლექტიური მართვის სისტემაზე გადაგვეყვანა.

გვქონდა ასეთი სისტემა, როცა ირჩევ პრეზიდენტს, რომელიც აყალიბებს მთავრობას პირადი შეხედულებით და მთავრობა პრეზიდენტთან ერთად არის განმსაზღვრელი პრეზიდენტთან ურთიერთობაში.

ამას ჩვენ ვამჯობინეთ კოლექტიური მართვის სისტემა, რომ არა 1 კაცი ავირჩიოთ, არამედ 150 წევრიანი პარლამენტი და პარლამენტმა ჩამოაყალიბოს მთავრობა. ეს იმიტომ, რომ ევროპული დემოკრატია მიხვდა იმას, რომ ალბათობა იმისა, რომ 1 კაცზე დაფუძნებული სისტემა დემოკრატიული იყოს, უფრო ნაკლებია, ვიდრე ბევრი კაცის.

მინახავს პოპულარული ლიდერი, რომელსაც გადაუხვევია რელსებიდან და ქვეყანა ცუდი განვითარების გზაზე დაუყენებია. ის ალბათობა, რომ 150 კაცი გახდება ავტორიტარიზმის ფუძემდებელი, უფრო დაბალია.

ეს სისტემა გაცილებით გამართულია და ამიტომაც გადავედით ჩვენც ამ სისტემაზე.

***– დღეს დასუსტებულია პრეზიდენტის უფლებამოსილებები, მაგრამ ისევ პირდაპირი გზით ავირჩიეთ პრეზიდენტი. რატომ არ შეიძლებოდა ასე გაგვეგრძელებინა? არ შეიძლება, ბალანსიც იყოს დაცული და პირდაპირი არჩევაც?***

– ევროპული დემოკრატია მაგას გამორიცხავს და ამბობს, რომ თუკი თვლით, რომ პარლამენტის არჩევნები არის ხალხის შემდეგ ხელისუფლების კონტროლის მთავარი წყარო, მაშინ ხალხის მიერ არჩეულმა პარლამენტმა უნდა ჩამოაყალიბოს მთავრობაც და პრეზიდენტიც.

ეს ლოგიკაა.

***– ამერიკაში სხვა ლოგიკაა.***

– ამერიკაში საპარლამენტო მმართველობის სისტემა არ არის. იქ პრეზიდენტი წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაც კი არ არსებობს აშშ-ში.

***– მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ იქ დაბალანსებული სისტემა არ არის. ასე არაა?***

– ამერიკის სისტემასაც აკრიტიკებენ. დაწყებული ამრჩევთა კოლეგიით და დამთავრებული მმართველობის სისტემით. ახლა, მაგალითად, ამერიკელები ძალიან განიცდიან იმას, რომ პრეზიდენტის ხელშია, მთავრობა იმუშავებს თუ არა.

# დიმიტრი მედოევი: „ადრე თუ გვიან, ოსი ხალხი ყაზბეგს დაიბრუნებს“

შორენა მარსაგიშვილი

ინტრიგებით და ათასგვარი მაიმუნობებით დაკავებულ საქართველოს ხელისუფლებას ოკუპირებული რეგიონები საერთოდ აღარ ახსოვს. საერთაშორისო ასპარეზზე ოფიციალური თბილისი თითქმის აღარ აცხადებს, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულია.

ამით ცხინვალი და სოხუმი კარგად სარგებლობენ. ნელ-ნელა მატულობს მათი მაღიარებელი სახელმწიფოების რიცხვი. აქაური ჩინოსნები ევროპასაც შეეჩვივნენ და იქ ხშირად დადიან ვიზიტით.

საქართველოს მეოცნებე ხელისუფლება არც ამას არ იმჩნევს, რაც ოკუპანტებს და მათ საყმოს მადას უზრდის. საოკუპაციო ხაზების გავლებას უკვე შევეჩვიეთ და აღარც კი ვრეაგირებთ.

ჩვენი უემოციობით კარგად სარგებლობს ცხინვალის რეჟიმი. მათი მადა სულ უფრო იზრდება. ისინი ახლა ყაზბეგის რაიონზე არიან ატეხილები. ხევი ოსებმა აღმოსავლეთ ოსეთად დაახლოებით ერთი წლის წინ გამოაცხადეს. „ქართულმა ოცნებამ“ არც ამაზე მოახდინა რეაგირება.

აღმოსავლეთ ოსეთის „აღმოჩენიდან“ ერთი წლის თავზე სამხრეთელმა ოსებმა უკვე გერმანული მედიით განაცხადეს, რომ ქართველმა ბოლშევიკებმა მათ ყაზბეგი წაართვეს.

სანამ ოსური დიპლომატიის მამის – დიმიტრი მედოევის ნაბოდვარზე გიამბობთ, ერთ ამბავსაც მოგახსენებთ. ცხინვალის პარლამენტში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ როგორ აღმოჩნდა ჭეშმარიტად ოსური მიწები ქართველების ხელში.



კომისია 11 კაცისგან შედგება და ის დასკვნას უახლოეს მომავალში დადებს. ამ კომისიის საქმიანობა ქართულმა მედიამ აქტიურად გააშუქა, მაგრამ „ოცნებამ“ არც ეს შეიმჩნია – სკამები აქვთ შესანარჩუნებელი და სულ არ აინტერესებთ, საქართველოს რომელი ნაწილი აღმოჩნდება ოკუპანტების და მათი საყმოს ხელში.

გერმანულ გამოცემასთან Neues Deutschland საუბარში ოკუპირებული ცხინვალის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი მედოევი საქართველოს კუთვნილ, მცხეთა-მთიანეთის ტერიტორიებს ისტორიულ აღმოსავლეთ ოსეთს უწოდებს. ოსური დიპლომატიის მამა ამბობს, რომ ადრე თუ გვიან, ეს ტერიტორიები ოს ხალხს დაუბრუნდება.

მინისტრად წოდებული აღმოსავლეთ ოსეთში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებს, თრუსოს ხეობას, კობსა და გუდოს ხეობას მოიაზრებს.

თრუსოს ხეობაზე ოსებმა პირველად პრეტენზიები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ გამოთქვეს. ეს მათმა ნაპრეზიდენტალმა ედუარდ კოკოითმა გააკეთა.

გერმანულ გამოცემასთან საუბარში მედოევს გასული წლის ზაფხულში გაკეთებული განცხადების კომენტირებამაც მოუწია.

მედოევმა შარშან ივნისში განაცხადა, რომ ცხინვალი არასდროს აღიარებს, რომ აღმოსავლეთ ოსეთი საქართველოს ნაწილია.

გერმანულმა გამოცემამ ოს მინისტრს ჰკითხა, რას ნიშნავდა მისი ეს განცხადება. ჟურნალისტი იმითაც დაინტერესდა თუ რა ზომების მიღებას გეგმავს ცხინვალი ამ მიმართულებით.

– საქართველოს კონტროლის ქვეშ მყოფი ისტორიული აღმოსავლეთ ოსეთის პრობლემა დიდი ხანია დგას და ყოველწლიურად უარესდება. ეს მთელი ოსეთისთვის მტკივნეული საკითხია. ეს ტერიტორიები, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაუბრუნდება ოს ხალხს.

რესპუბლიკის უმაღლეს ხელისუფლებას, პირადად რესპუბლიკის პრეზიდენტსა და მთელ ოს საზოგადოებას ნათელი პოზიცია აქვს, რომელიც მდგომარეობს შემდეგში, რომ, ადრე თუ გვიან, ეს მიწები ოსეთს დაუბრუნდება და მასზე ოსები იცხოვრებენ. სამხრეთ ოსეთის დიპლომატებს არაერთგზის წამოუჭრიათ ეს საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრის დროს, მათ შორის, ჟენევის დისკუსიებზეც, – აცხადებს მედოევი.

„საქართველოს სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელი, ზურაბ აგლაძე, ნეტგაზეთთან საუბრისას ამბობს, რომ პერიოდულად, რუსეთი ამ თემით სპეკულირებს, რათა საქართველოს მის ხელში არსებული ბერკეტების შესახებ შეახსენოს.

ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში საკითხის წამოწევა საქართველოს მიერ ვენესუელის დროებით პრეზიდენტად ოპოზიციის ლიდერის აღიარებას უკავშირდება.

– ეს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკას ეხება. ეს არ არის უბრალოდ განცხადება. პერიოდულად, რუსები ამ თემას ამოატივტივებენ, რომ ასე ვთქვათ, ჩვენი მთავრობა ფორმაში ამყოფონ ხოლმე და შეახსენონ იმ ბერკეტებზე, რა პრობლემები შეიძლება გაუჩნდეს საქართველოს, რომ ერთგვარად დათმობა მოხდეს ჩვენი მხრიდან. ეს არახალია, რუსეთი ამას მიმართავს მას შემდეგ, რაც ბორდერიზაცია და ტერიტორიების მიტაცება ხდება.

სიმართლე გითხრათ, მნიშვნელოვან ნაბიჯებს მათი მხრიდან და იმას, რომ ტერიტორიების მიტაცება მოხდეს, არ ველოდები. ეს უფრო, ალბათ, ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდია რუსეთის მხრიდან. ძალიან ცუდად დაემთხვა განცხადებები: როცა საქართველოს ხელისუფლებამ ვენესუელაში ოპოზიციური წარმომადგენელი ლეგიტიმურ პრეზიდენტად აღიარა, არ დააყოვნა მათმა განცხადებებმაც. ეს ერთგვარი გაფრთხილებაა, რომ თუ რუსეთის წინააღმდეგ წავალთ, შეიძლება ასეთი რაღაც მოხდეს, – აღნიშნა აგლაძემ.

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ხელისუფლება რამენაირად მოიცლის ამ საკითხისთვის. არის რაღაცები, რასაც გაგებით ვერ მოეკიდები.

# დიმიტრი ხუნდაძე: „თავისუფლება არ უნდა იყოს თავნებობის ტოლფასი“

ლელა მდივანი

ენდიაის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგებზე „ახალ თაობას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დიმიტრი ხუნდაძე ესაუბრა.

***– რეალობასთან ახლოსაა ის პროცენტები, რაც ამ შედეგებშია წარმოდგენილი?***

– კი, ზოგიერთ ნაწილში რეალობასთან ახლოსაა, ზოგან ცდომილებაა. შედეგში ჩანს, რომ მმართველ პარტიას მოსახლეობის ორჯერ მეტი უჭერს მხარს, ვიდრე ოპოზიციურ ფლანგს. ეს ფაქტია, მაგრამ 36% არც ერთ პარტიას არ მისცემდა ხმას და ესეც ლოგიკურია, იმიტომ, რომ საზოგადოება არ არის საარჩევნო რეჟიმში, ის არის მკაცრი და ასეც უნდა იყოს, ამიტომ კიდევ აძლევენ პარტიებს დროს, რომ იმუშაონ მათ და მათი ნდობა დაიმსახურონ.

პოლიტიკური კვლევების მიმართ საქართველოში ჯერ ვერ ჩამოყალიბდა ის კულტურა, რომ სოციოლოგიური კვლევები გავათავისუფლოთ პირადი ინტერესებისგან. საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ დიდი პატივისცემის მიუხედავად, ვთვლი, რომ ის ადგილობრივი ორგანიზაციები, ვინც უშუალოდ ატარებს კვლევებს, პირად პოლიტიკურ ინტერესებს დებენ. თუმცა, მე ყოველთვის აღვნიშნავ, რომ ნებისმიერი კვლევა, როგორი ტენდენციურიც არ უნდა იყოს, ჩემთვის საინტერესო და საყურადღებოა.

***– კვლევის მიხედვით, 2009 წლის შემდეგ პირველი 6 ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხების (სამუშაო ადგილები, სიღარიბე, ინფლაცია/ფასების ზრდა, ტერიტორიული მთლიანობა, პენსიები და ხელფასები) ჩამონათვალი უცვლელი რჩება. ეს რეალობა ხომ გვაქვს ნამდვილად?***

– ეს პრობლემები აწუხებს მოსახლეობას. სიღარიბიდან თავის დაღწევა გრძელვადიანი პერსპექტივაა. მთავარია, ტენდენციები იყოს და დინამიკა იყოს დადებითი.

სიღარიბე რომ არ დაწყებულა დღეს და გუშინ, ამას აქვს თავისი გრძელვადიანი წარსული, პირობები და მიზეზები. მაგალითად, ოკუპირებულია ტერიტორიები და არის დევნილთა დიდი რაოდენობა, სოციალურად დაუცველთა დიდი რაოდენობაა. ეკონომიკა მზარდია, მაგრამ არაა საკმარისი იმისთვის, რომ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მოხდეს ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა.

***– რა არის კვლევის მთავარი აღმოჩენა?***

– პოლიტიკაში ყველაფერი მთავარია. დემოკრატიის ხარისხიც, ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობაც, კორუფციის თემაც, სიტყვის თავისუფლებაც.

–სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით მოსახლეობის 44% ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, 31%-ს კი მიაჩნია, რომ ამ მხრივ არაფერი იცვლება. იზიარებთ ამ მონაცემებს?

***– ნიჰილიზმი საზოგადოებაში არის, ამას ბევრი მიზეზი აქვს. ნეგატივის გაშუქება ხდება უფრო ტელევიზიებში, ვიდრე პოზიტიური ამბების. საზოგადოებაშიც უკვე აქცენტი კეთდება ამაზე. იგივე დემოკრატიის თვალსაზრისით, ყველა სხვადასხვანაირად აღიქვამს დემოკრატიას.***

ზოგი, მაგალითად, თავისუფლებას თავნებობასთან აიგივებს და ხშირად მინახავს ასეთიც. შეიძლება ვიღაცამ პოლიციელს შეურაცხყოფა მიაყენოს, პოლიციელი შეზღუდო იმაში, რომ ვთქვათ, აკავებს ეჭვმიტანილს, ან ვთქვათ, შეიძლება ყველაფერი აკადრო მეორე ადამიანს, ან ვთქვათ, სოციალური ქსელი იყოს სიძულვილის ენით გაჯერებული. ანუ ყველა სხვადასხვა რამეს ეძახის დემოკრატიას, მაგრამ ჩვენ თუ გადავავლებთ თვალს იგივე, ვთქვათ, თავისუფლების მოედანს, ახალგაზრდები თუ ძველგაზრდები, არავის არ ეკრძალება გამოსვლა, თემა მძიმეა თუ წმინდა პოლიტიკური, განსხვავებით ამ უახლოესი წარსულისგან, ეს იქნება 7 ნოემბერი, თუ 26 მაისი, არავინ არ არბევს მათ და გახსოვთ ალბათ შინაგან საქმეთა მინისტრის გამოსვლა და ახალგაზრდებისთვის ბოდიშის მოხდა. ეს ბოდიში არ იყო პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ ეს იყო დამოკიდებულება ძალოვანი სტრუქტურის უმაღლესი პირის ახალგაზრდებისადმი, მაგრამ ეს გვახსოვს ჩვენ სხვანაირად ხომ?! ჩაფხუტებით, ხელკეტებით და ტყვიებით, ცრემლსადენი გაზებით და ტელევიზიებში შევარდნებით.



სიტუაცია განსხვავებულია, მაგრამ საზოგადოება მოითხოვს კიდევ უფრო მეტს. თავისუფლება არ უნდა იყოს თავნებობის ტოლფასი. გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, დაცული უნდა იყოს, მაგრამ უნდა ვიყოთ ობიექტურები. თუ სადღაც გვიჭირს, ისიც უნდა დავაფიქსიროთ და თუ სადმე პოზიტივი გვაქვს, ისიც უნდა დავაფიქსიროთ, მაგრამ ხშირად, ზოგიერთი ტელევიზიები, პოზიტივსაც ნეგატივად წარმოაჩენენ. ამიტომ საზოგადოებრივი აზრი ყალიბდება არა მხოლოდ მათი დამოკიდებულებიდან, არამედ საზოგადოებრივი განწყობებიდან და იმ ინფორმაციული ველიდან, სადაც ისინი იმყოფებიან.

ყოველდღიურად დიდი ნეგატივი მიეწოდება ხალხს. ბუნებრივია, ეს ნეგატივი კვლევის სახით უკან გვიბრუნდება.

***– საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მხოლოდ მედია არ ახდენს გავლენას. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც ხომ არსებობს?***

– მე არ ვამბობ, რომ მხოლოდ ეს არის მიზეზი, მოსახლეობა პირადად აღიქვამს მიმდინარე პროცესებს, მაგრამ საინფორმაციო საშუალებებს უდიდესი ზეგავლენა აქვთ მათ განწყობებზე.

კვლევის შედეგებში არის ურთიერთგამომრიცხავი პასუხები. მაგალითად, მოსახლეობის 41% მთავრობის მუშაობას დადებითად აფასებს, თითქმის იგივე პროცენტი ამბობს, რომ მთავრობა კორუმპირებულია, ესე იგი, გამოდის, რომ ხალხს კორუმპირებული მთავრობა მოსწონს? ან კიდევ, ამ კვლევის თანახმად, მთავრობის რეიტინგი ორჯერ აღემატება მმართველი პარტიის რეიტინგს, მაშინ როდესაც, ყველამ იცის, მთავრობის ხელმძღვანელობა სწორედ რომ მმართველი პარტიაა. ზოგადად, მთავრობის 41%-იანი მაჩვენებელი ცუდი არ არის. მსგავსი შედეგი შეიძლება ევროპის ნებისმიერ განვითარებულ სახელმწიფოში დაიდოს იქედან გამომდინარე, რომ ხალხი ყველგან კრიტიკული და მომთხოვნია ხელისუფლების მიმართ, რაც კარგია. ხოლო გამოკითხულთა 36%, რომელთათვის არც ერთი პარტიაა მისაღები, ეს ჩვეულებრივი და ანალოგიურია ნებისმიერ სახელმწიფოში.

ამას სოციოლოგები თავისუფალ ველს უწოდებენ და სწორედ ამ გაურკვეველ ფენაზე მუშაობს ყველა პარტია არჩევნების პერიოდში.

***– რას იტყვით მაჟორიტარების ცნობადობასთან დაკავშირებული კვლევის შედეგებზე?***

– მიჩნდება კითხვა, როგორ აირჩიეს მაჟორიტარები, თუკი არ იცნობდნენ მას? ეს ზედმეტად არადამაჯერებელია. თუმცა, ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება ამ კვლევის მიმართ არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა. ხალხის შეფასებები ზოგ შემთხვევაში ადეკვატურია პროცესების მიმართ.

# ექსპერტები კავკასიაში ახალი ცხელი წერტილების გაჩენას ვარაუდობენ




მარიამ მჭედლიშვილი

2019 წელი რთული იქნება კავკასიისთვის. მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, სამხრეთ კავკასიაში დაწყებული ძვრები და კრემლის მიერ წამოწყებული საზღვრების დადგენა ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მოსალოდნელ მშფოთვარე მოვლენებზე მიანიშნებს.

ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ავტონომიებს შორის საზღვარი შარშან, წლის ბოლოს განისაზღვრა. ამან ინგუშეთში საპროტესტო მოძრაობა ააგორა. ინგუშები მიიჩნევენ, რომ მათი მიწები მეზობლებს უსამართლოდ გადასცეს.

ჩეჩნეთი სასაზღვრო საკითხების გარკვევას დაღესტანთანაც აპირებს.

ადმინისტრაციული საზღვრების საკითხების გარკვევა კრემლმა მარტო ჩრდილოეთ კავკასიაში გადაწყვიტა. ეს იმის მომასწავებელია, რომ ამ რეგიონში რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ხელისუფლებას თავისი გეგმები ამოძრავებს.

ვაინახების ბევრი წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ მონათესავე ჩეჩნებსა და ინგუშებს შორის ბოლო კონფლიქტი კრემლის პროვოცირებულია, რომელსაც ჩრდილოეთკავკასიის ხალხებში ერთიანობის ეშინია.

მოსკოვს სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის შესაძლო დაკარგვაც აშფოთებს. კრემლის ექსპერტების მტკიცებით, კავკასიაში მთავარი პრობლემა უსაფრთხოებაა. სტაბილურობას, მათი თქმით, არღვევს აშშ, რომელიც მაიდნებსა და ფერად რევოლუციებს აწყობს, ასევე – საერთაშორისო ტერორიზმი.

კავკასიურ მაიდნებსა და რევოლუციებზე მოსკოვში ინტენსიურად სომხეთში მომხდარი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ ალაპარაკდნენ. რამდენიმე დღის წინ ფერადი რევოლუციის დაგმობის კამპანიაში აზერბაიჯანელი ანალიტიკოსებიც ჩაებნენ. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბაქო სირია, ლიბია და უკრაინა არ არის, რომ იქ ვინმემ გარედან ხალხი ააჯანყოს.

უცხოელი ექსპერტების თქმით, პუტინი აქტიურდება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. პუტინმა წააგო ორი ომი ჩეჩნეთში, რუსეთს დაქვემდებარებული ყოფილი სამი რესპუბლიკა ნატოს წევრი გახდა. ნატო მიუახლოვდა რუსეთის ყველა საზღვარს. ამ სიტუაციაში პუტინი ყველა ღონეს იხმარს, რომ რუსეთი რეგიონში წამყვანი სახელმწიფო გახდეს და კრემლის ძლიერი გავლენა გავრცელდეს საბჭოთა იმპერიის ნაწილში.

უკრაინაში, ასევე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში, პუტინს ჯარი ჰყავს. რუსეთი ამ სამხედრო ნაწილებს აძლიერებს. ბალტიისპირეთში ცხელი წერტილის გაჩენას პუტინი ვერ გარისკავს იმის გამო, რომ ბალტიის ქვეყნები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან. ამის გამო მისი მოქმედებები პოსტსაბჭოთა ტერიტორიის სხვა ადგილებს მოიცავს.

პუტინის ენერგეტიკული ამბიციებიც დიდია. მისთვის უმნიშვნელოვანესია „თურქული ნაკადის“ მილსადენის ამოქმედება. ამ პროექტით 2019 წელს მოსკოვი თურქეთის გავლით გაზს მიაწვდის ბალკანეთის ქვეყნებს, იტალიასა და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს. მისთვის სწორედ იმიტომაა განსაკუთრებით მიუღებელი ბალკანეთის ქვეყნების ნატოში გაწევრიანება, ასევე – უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

ექსპერტები ენერგეტიკის დარგში ამ სფეროში აშშ-ის მოსალოდნელ წინსვლაზე საუბრობენ.

მათი პროგნოზით, 2020 წლისთვის აშშ ხდება ნავთობის, გაზისა და თხევადი გაზის უმსხვილესი ექსპორტიორი. ევროპაში გაზის ექსპორტის ზრდას გეგმავს „გაზპრომიც“, რაც გაზრდის ამერიკულ-რუსულ კონკურენციას.

მოსალოდნელია, რომ ვაშინგტონისა და მოსკოვის ინტერესები, სხვა საკითხების გარდა, კავკასიაში ენერგეტიკამაც დააპირისპიროს.

# მოსახლეობის 48% მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს, 44% კი დადებითად

აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. 2018 წლის დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, მოსახლეობის 48% მთავრობის საქმიანობას ნეგატიურად აფასებს. 44% კი მამუკა ბახტაძის მთავრობის საქმიანობას დადებითად აფასებს. მოსახლეობის 8%-მა კი მიუთითა არ ვიცი/უარი პასუხზე.

მთავრობის საქმიანობით კმაყოფილება ყველაზე დაბალია თბილისში და მხოლოდ 34%-ს შეადგენს. სოფლად მთავრობის საქმიანობას დადებითად 48% აფასებს.

მთავრობის საქმიანობის შეფასება 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პრაქტიკულად იდენტურია იმ შედეგის, რაც 2018 წლის მარტში იყო. მაშინ მთავრობის საქმიანობა დადებითად შეაფასა 44%-მა, ხოლო ნეგატიურად შეაფასა 49%-მა.

აღნიშნული კვლევა, 2018 წლის 6-20 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,205 პირისპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან სრულწლოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/–2.1 პროცენტი.




# საკრედიტო-საგარანტიო ფონდი მიმდინარე წლის 1-ელ კვარტალში ამოქმედდება

2019 წლის პირველ კვარტალში ძალაში შედის საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ბანკთან მთავრობის თავდებობას იმ ბიზნესებისთვის, ვისაც ბანკში ჩასადები ქონება არ აქვთ, – განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა თბილისში მიმდინარე ეკონომიკურ კონფერენციაზე „საქართველო და მსოფლიო 2019 წელს“.

გიორგი ქობულიას ინფორმაციით, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმის ამოქმედების მიზნით მთავრობამ წელს ბიუჯეტში 20 მლნ ლარი გამოყო.

ეკონომიკის მინისტრის თქმით, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი ბევრ ბიზნესს ფინანსებზე წვდომის პრობლემას მოუხსნის. მისივე განცხადებით, აღნიშნული სქემის გამოყენებისას გათვალისწინებული იქნება ის პრიორიტეტები, რომლის განვითარებაც მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისათვის. მათ შორისაა, წარმოება და გადამუშავება, საგანმანათლებლო საქმიანობა, ტრენინგ-ცენტრები, სერვისების ექსპორტი, გადამამუშავებელი სოფლის მეურნეობა, კვლევები და განვითარება, სამედიცინო მომსახურება, ტურისტული მომსახურება და სხვა.




საგარანტიო სქემის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება გარანტიით უზრუნველყოფილი ინდივიდუალური სესხის 70%-მდე, სქემის ფარგლებში გაცემული გარანტიით უზრუნველყოფილი სესხების მთლიანი პორტფელის 10%-ის ფარგლებში.

# დავით ლორთქიფანიძე: „მურუსიძე მოსამართლეების კლანის ბელადია“

გულიკო ბალაძე

მე-8 მოწვევის პარლამენტის, „ქართული ოცნების“ წევრი დავით ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ არაკაცია ის, ვინც უმრავლესობის წევრ ეკა ბესელიას წინააღმდეგ სააკაშვილის დროს დამზადებული ვიდეო გაავრცელა. დავით ლორთქიფანიძე გარკვეულ ვერსიებზეც საუბრობს.

***– ბატონო დავით, სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით „ოცნებაში“ განვითარებული მოვლენები ძალიან ბინძურ ბრძოლაში გადაიზარდა. როგორ აფასებთ პარლამენტის უმრავლესობის წევრ ეკა ბესელიას მიმართ წესების გარეშე ბრძოლას, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის დამზადებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები გაუვრცელეს? რას ნიშნავს ეს?***

– ყოველი ასეთი ფაქტისადმი კატეგორიულად უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს. გავრცელების ფაქტი უნდა დადასტურდეს, თუმცა, ძალიან ცუდ ფაქტად ვაფასებ. ეს არის ადამიანის შანტაჟი მისი პირადი ცხოვრებით. რაც უფრო მალე დასრულდება ამგვარი სპეკულირება, მით უფრო უკეთესი იქნება ჯანსაღი ცხოვრების მოწყობისთვის. ეს უნდა დასრულდეს. იმ პირთა წრე, რომელიც ასეთი რამეებით იყო და, სამწუხაროდ, დღესაც არის დაკავებული, სამართალდამცავმა სტრუქტურებმა სწრაფად უნდა გამოავლინონ და პასუხი მოსთხოვონ მსგავსი სამარცხვინო ფაქტების გამო.

***– ეკა ბესელიამ, ფაქტობრივად, არ გამორიცხა, რომ „ოცნების“ გუნდში არის ძალა, რომელიც შიგნიდან ანგრევს უმრავლესობას.***

– სიმართლე გითხრათ, ეკას განცხადება არ წამიკითხავს. არ ვიცი, რა კონტექსტში საუბრობს ამაზე, მაგრამ ფაქტია, ეკას გადაწყვეტილება თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით, გამოწვეული იყო გუნდის შიგნით არსებული დაპირისპირებით. ამის დამალვა სწორი არ იქნება.

ამას მოჰყვა რეაქცია და ცნობილი ორდღიანი შეხვედრები პარტიის ლიდერ ბატონ ბიძინასთან, სადაც გადაწყდა, რომ შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კრიტერიუმების შემუშავებაზე მოსამართლეების უმაღლეს სასამართლოში გამწესებასთან და მოსამართლეების უვადოდ გამწესების 2024 წლამდე შეჩერებასთან დაკავშირებით. ეკას გადადგომის შემდეგ, მთელი საკითხების ნუსხა წამოვიდა ქართული პოლიტიკის დღის წესრიგში.

***– ეკა ბესელიამ ეს განაცხადა პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გავრცელების კონტექსტში.***

– იმას ამბობს, „ქართული ოცნების“ შიგნიდან მოხდა გავრცელებაო.

***– მთლად ამას არ ამბობს. მაგრამ ...***

– მე ხომ ვადასტურებ, რომ ეკას ნაბიჯები განპირობებული იყო გუნდის შიგნით არსებული სერიოზული უთანხმოებით.

***– ბესელია ამბობს, რომ ამით ვერ გააჩერებენ, ვერ გააჩუმებენ და ვერ გააქრობენ პოლიტიკური სივრციდან. ალბათ, მიზანი ბესელიას გაჩერებაა.***

– ვინც ეგ ვიდეო გაავრცელა, ნაძირალაა. ვინც უნდა იყოს, მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი პოზიციით, ვინც ეს გაავრცელა, ის ებრძვის 2012 წლის იმ მონაპოვარს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ და ქართველმა ხალხმა მოიპოვა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან გაშვებით.

***– რატომ ებრძვიან 2012 წლის მონაპოვარს, რა მიზანი ამოძრავებთ?***

– ვინც გაავრცელა, უნდა „ოცნების“ შიგნით იყოს დაძაბულობა და დაპირისპირება. ამას წინა ხელისუფლების წარმომადგენლები აკეთებენ, ხელისუფლების გარეთ დარჩენილი პირები თუ წინა ხელისუფლებაში ყოფილი და დღევანდელ ხელისუფლებაში მოხვედრილები, ამის მტკიცება ჩემგან უხერხული იქნება. ამიტომ აუცილებელია ძალოვანმა სტრუქტურებმა და საგამოძიებო სამსახურებმა სასწრაფოდ დაადგინონ, ვინ გააკეთა ეს.

***– მძიმე საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, შეიძლება უნდოდათ უმრავლესობაში განხეთქილება მომხდარიყო, მაგრამ არც ისაა გამორიცხული, შიგნით იყოს ვინმე არაკეთილმოსურნე, ვინც გაილანძღა, მაგრამ ხმა არ ამოუღია და ის ვიდეო გაავრცელა.***

– არავინ არ გამოირიცხება, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არის ყოფილი ხელისუფლებისაგან გავრცელებული ვიდეო. მოგეხსენებათ, სამეგრელოში აღმოაჩინეს კასრები, სადაც სხვადასხვა ვიდეოჩანაწერები და ფაილები ეწყო. მაშინ (2013 წელს) მე განცხადება გავაკეთე, რომ წინააღმდეგი ვიყავი ის ფირები განადგურებულიყო.

***– რატომ გქონდათ ასეთი პოზიცია?***

– ჩემი მოსაზრებით, არ შეიძლებოდა ეს ვიდეოები ყოფილიყო თითო ეგზემპლარი. მისი ასლები ექნებოდათ და აქვთ ნაცხელისუფლების



წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც ის ფირები განადგურდა, ყველა ისარი ჩვენი ხელისუფლების მიმართულებით წამოვიდა, თითქოს ჩვენ იმ ფირებიდან ყველა კი არ გავანადგურეთ, არამედ დავიტოვეთ და ვიღაცების მიმართ მას ვიყენებთ. ამ აზრს მე კატეგორიულად ვემიჯნები და გამოვრიცხავ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს არის ძველი ხელისუფლების ბოროტი თამაშები ქართველი საზოგადოების წინააღმდეგ. ისინი ამგვარ საქციელს შეჩვეული არიან. უბრალოდ, მათ ახლა შეცვალეს პროცესი. ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნის დროს „მსხვერპლს“ ეძახოდნენ და აფრთხილებდნენ, რომ მასზე ჰქონდათ კომპრომატები. აჩვენებდნენ კიდევაც და ისე მანიპულირებდნენ. დღეს იმის გამო, რომ მათ ხელისუფლების ბერკეტები ხელში არ აქვთ, ჩემი აზრით, ამას ახლა სოციალური ქსელებით აკეთებენ. გემახსოვრებათ, ერთ-ერთ ჟურნალისტს 2012 წელს გააცნეს, რომ მასზე ჰქონდათ კომპრომატები, ფარული ჩანაწერები. ამაზე პროკურატურაშიც იყო მოსული. ამის შემდეგ აღარაფერი თქმულა. მან თქვა, რომ მას არ დამუქრებიან. რა თქმა უნდა, მუქარა არ იყო, დამნაშავე რეჟიმი „კეთილ რჩევებს“ აძლევდა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

ანუ წინათ, როდესაც ნაციონალები იყვნენ ხელისუფლებაში „კეთილ რჩევებს“ აძლევდნენ და როდესაც ხელისუფლებაში აღარ არიან, კეთილი რჩევების მიცემა აღარ ხელეწიფებათ, რადგან ბერკეტი აღარ აქვთ. ამიტომ ახლა გადასული არიან სოციალური ქსელებით სიბინძურეების გავრცელებაზე. ჩემი, როგორც პოლიტიკოსის ხედვა ასეთია.

***– სხვათა შორის, ისეთი საუბრებიც მოვისმინე, ამგვარი ვიდეოს გავრცელებას ბიძინა ივანიშვილსაც კი აბრალებდნენ.***

– არა, ის ადამიანები ცდილობენ, ბიძინა ივანიშვილის მიმართ საზოგადოებაში დაამკვიდრონ მსგავსი განწყობები. თუ ბიძინა ივანიშვილს ვინმეს მიმართ პრეტენზია აქვს, პირდაპირ ეტყვის. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილმა ამგვარად იმოქმედოს. ბიძინა ივანიშვილი ცოტა სხვაგვარად ეტყვის. მას 2011 წლიდან ვიცნობ და ვიცი, რომ პრობლემა არ აქვს, მით უფრო, თავისი გუნდის წევრებს უთხრას, რას ფიქრობს მასზე. ეს მე ვიცი. ამ შემთხვევაში ეს არის იმ ჯგუფების მიერ წამოწყებული კამპანია, რომლებსაც უნდათ, „ქართულ ოცნებაში“ შენარჩუნებული ერთობა (რომელიც ბიძინა ივანიშვილთან ორდღიანი შეხვედრების შემდეგ შედგა) ააფეთქონ. ამიტომ მოიფიქრეს ასეთი სიბინძურე.

***– არის ფაქტები, რომელიც შეიძლება გარკვეულ ინფორმაციას და ვერსიების საბაბს იძლეოდეს. როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ ეს პირადი ცხოვრების ამსახველი მასალა პერსონალური მონაცემების დაცვის დღეს გაავრცელეს? სწორედ ამ დღეს ვანო ზარდიაშვილი სკანდალურ მოსამართლეებთან ერთად გამოჩნდა რუსთაველზე, თითქოს შემთხვევით შეხვდა. როდის იყო, მოსამართლეები რუსთაველზე ასე გუნდ-გუნდად სეირნობდნენ?***

## „ჩემი აზრით, ეკა ბესელიას შესახებ ვიდეო ყოფილი ხელისუფლებისაგან არის გავრცელებული“

– თქვენ არ დაასრულეთ, მაგრამ ფაქტობრივად, თქვით, რომ 28 იანვრის ამ შეხვედრით ზარდიაშვილმა კომენტარი გააკეთა. დამეთანხმეთ ამაში.

***– ფაქტი სახეზეა.***

– ზარდიაშვილმა თქვა, რომ ვიღაც ახლობლის პანაშვიდზე აპირებდნენ წასვლას და მოითათბირეს იქ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ერთად წასულიყვნენ. თუმცა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება სხვა ფორმითაც იქნებოდა შესაძლებელი. ელემენტარულად, სატელეფონო საუბრით შეეძლოთ შეხვედროდნენ და წასულიყვნენ, სადაც მიდიოდნენ. ზარდიაშვილი არც მალავს, რომ ამ მოსამართლეების მეგობარია.

***– მთელი ქვეყანა ლამისაა ყირაზეა დამდგარი ამ მოსამართლეების სიის გამო, თავის მხრივ, მოსამართლეები გულზე მჯიღს იცემენ (მოსამართლეების რიგგარეშე ყრილობაზე), ჩვენც მურუსიძეები ვართო. ზარდიაშვილი კი პარადს აწყობს რუსთაველზე, რომელსაც სურათს უღებს ერთ-ერთი გამოცემა და აქვეყნებს. როგორია?***

– ეს არის პოლიტიკოს ზარდიაშვილის არჩევანი, რომ მან საზოგადოებას ასეთი ფორმით დაამახსოვროს 2019 წლის 28 იანვარი. მე, მაგალითად, ასეთ სიტუაციაში ცოტა უფრო მოვერიდებოდი. თუ ზარდიაშვილი თვლის, რომ საზოგადოებას არ უნდა მოერიდოს, საზოგადოებას ექნება სათანადო რეაგირება. თქვენ რა ფაქტებიც ჩამოთვალეთ, მე კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ფაქტს დავამატებ და მერე გავშლი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ამ მოვლენებს.

28 იანვარი ასევე არის სანდრო გირგვლიანი მკვლელობის დღე, რომელიც წინა რეჟიმმა წამებით მოკლა ტყეში, თბილისთან ახლოს. ამ ყველაფრის დამთხვევა იმას ნიშნავს, საზოგადოებას უგზავნიან ძალიან ბინძურ მესიჯს, უარყოფით ანტიპიარს ხელისუფლების მიმართ, თითქოს ხელისუფლება უძლურია და ვერაფერს აკეთებს. ეს ყველაფერი მე ასე დავინახე.

როგორც პოლიტიკოსი, როგორც სახელისუფლებო გუნდის წევრი, ვფიქრობ, ძალოვანი უწყებებისთვის ეს არის ძალიან სერიოზული გამოწვევა. მათ უნდა იმუშაონ და დაადგინონ, ვინ გაავრცელა ეს ფარული ჩანაწერი. უნდა დადგინდეს, რამდენ ფეისბუქმომხმარებელთან მივიდა ვიდეო.

***– ეკა ბესელია გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებებში ამბობს, რომ აღნიშნული ვიდეო სააკაშვილის დროს დამზადდა მისი კომპრომეტაციისთვის. შემდეგ ეს საქმე სასამართლომ განიხილა და გარკვეულ პირებს მსჯავრი დაედოთ.***

– ე.ი. ამისთვის ადამიანები მიცემული არიან პასუხისგებაში.

***– მგონი, შემდეგ საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, მაგრამ დამნაშავე პირების სასამართლოზე წარდგენილ საქმეში ვიდეო მტკიცებულების სახით ხომ იდო? როცა ვამბობთ, საიდან გავრცელდაო, ეს ფაქტიც ხომ დამაფიქრებელია?***

– სწორედ ამიტომ არის კომპეტენტური გამოძიება საჭირო, რომ დადგინდეს, გავრცელებული ფირი საქმიდან არის ამოღებული თუ ისეა გავრცელებული. მე ვფიქრობ, რომ ისე იქნება



გავრცელებული.

***– ისე, როგორ?***

– სადაც ერთი ფირი დაამზადეს, იქ ასლებიც იქნება. ვინ იცის, მათ მიერ გადაღებული და დამზადებული ვიდეოფირების ასლები რა რაოდენობით აქვთ წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამაზეც შემომედავებიან, აი, ხომ ხედავთ, ნაციონალებისკენ იშვერს ხელსო, მაგრამ ეს არის ჩემი მრწამსი. მე ასე მწამს. თუ გამოძიება დაადგენს, რომ აღნიშნული ვიდეო წინა ხელისუფლების წარმომადგენლების გავრცელებული არ არის, ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ მე ასე მჯერა. თუმცა, არ გამოირიცხება არც ერთი ვერსია, რომელზეც ვისაუბრეთ.

***– თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ზარდიაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი არ გააკეთა.***

– ზარდიაშვილმა ერთხელ თქვა, ის მოსამართლეები ჩემი მეგობრები არიან და მათთან მეგობრობას ვერავინ დამიშლისო. მეტი რა კომენტარი უნდა გააკეთოს.

***– რატომ ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას მურუსიძეები, ჩინჩალაძეები და ძმანი მისნი? მიზეზი რა არის? ნუთუ იმდენად მიუხვედრელია, რომ პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება რა არის არ იცის?***

– ეს არის ყველა ადამიანის ინდივიდუალური მდგომარეობა. ზოგი ადამიანი არის მეტი პასუხისმგებლობით აღჭურვილი, ზოგი – ნაკლები პასუხისმგებლობით, ზოგ ადამიანს აწუხებს სინდისის ქენჯნა.

***– თუ არ ეთმობა ის კომფორტული მდგომარეობა, რაშიც მოსამართლეობის გამო იმყოფება და ყველაფერზე მიდის?***

– რა თქმა უნდა. მურუსიძემ მოახერხა ის, რომ სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლეა და ჰგონია, ვერავინ შეეხება პირობითად ვადის ამოწურვამდე, ანუ სანამ პენსიონერი არ გახდება. მას აწყობს ის მოცემულობა, რომელიც თავის თანაგუნდელებთან ერთად შექმნა სასამართლო სისტემაში. ლიდერი თვითონ არის. ასე თქვა მან.

***– ღიად გეტყვით, ამაში ხელი „ოცნების“ ხელისუფლებამაც შეუწყო. მე იმასაც მეუბნებიან, როგორც ნაციონალებს ჰყავდათ თავისი მომსახურე მოსამართლეები, ასევე უნდათ ოცნებელებსაც, ამიტომ არ გაუშვეს ისინი და თავის მსახურებაში ჩაიყენესო.***

– ყველა ადამიანს თავისი მოსაზრება აქვს. მურუსიძესთან დაკავშირებით დღევანდელი საზოგადოების განწყობა პრინციპულად მნიშვნელოვანია. ის იძულებული გახდება, გადახედოს თავის პოზიციას. მას ძალიან გაუჭირდება, სასამართლოში ხომ არ დაიდებს ბინას? სადღაც ხომ უნდა წავიდეს, მოვიდეს, ამიტომ გაუჭირდება ამ ქვეყანაში ასე ცხოვრების გაგრძელება.

***– ეგ გასაგებია, მაგრამ „ოცნება“ რატომ ვერ ელევა ასეთ მოსამართლეებს? რატომ ვერ შეელია თავის დროზე?***

– აქ ყველაფერი ადამიანების ფსიქოტიპებზეა დამოკიდებული. ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში და არ დავიწყეთ ანგარიშსწორება მათი გაყრით.

***– ყველას გაყრას არავინ გთხოვდათ.***

– ჩვენ მათ მივეცით საშუალება, ვადა დაესრულებინათ. მაგალითად, კუბლაშვილი, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო, ვადა ამოწურა და სისტემიდან წავიდა. ასეთები სხვა მოსამართლეებიც იყვნენ, მაგრამ მურუსიძემ გვრიტიშვილმა და სხვებმა მოისურვეს და მოახერხეს დარჩენა, რადგან ამ ჯგუფის ლიდერები არიან.

***– კლანია? თუმცა, მურუსიძეები ირწმუნებიან, კლანი არ ვართო.***

– არა, არა, კლანია. ამ კლანის ბელადი მურუსიძეა. ეს არის ორჯერ ორი ოთხი.

# კიდევ რამდენი მლნ დოლარი უნდა შეისყიდოს სებ-მა?



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ დაასახელა თუ დაახლოებით რა მოცულობამდე იგეგმება სავალუტო რეზერვების შევსება და შესაბამისად სავალუტო ინტერვენციების განხორციელება.

2019 წლის 30 დღის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა 6 სავალუტო ინტერენცია განახორციელა, რომელთა შედეგადაც 85 მილიონი დოლარი შეისყიდა. სებ-ის ინფორმაციით, აღნიშნული ინტერვენციები პირველ რიგში საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვების შევსებას ისახავს მიზნად.

კობა გვენეტაძის განცხადებით, რეზერვების შევსების პოლიტიკა გაგრძელდება იქამდე, სანამ საქართველო არ დააკმაყოფილებს IMF-ის მიერ საქართველოს სავალუტო რეზერვების მოცულობისთვის არ მოხდება ადეკვატურის სტატუსის მინიჭება. იმ კრიტერიუმებით, რომლეთა მიხედვითაც სავალუტო ფონდი ქვეყნების რეზერვების მოცულობას აფასებს, საქართველოს ქულა 94%-ს შეადგენს, იმისთვის რათა რეზერვები ადეკვატურად ჩაითვალოს, ეს მაცვენებელი 100-150%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

– ინტერვენციისას ხელს არ ვუშლით თავად მიმართულებას გაცვლითი კურსის, რომელსაც ბაზარი განსაზღვრავს. ეროვნული ბანკის უცხოური რეზერვები არ არის ადეკვატური. ეს არის სავალუტო რეზერვების შეფასება. იმ მეტრიკით, რომელიც IMF-მა შეიმუსავა. იმ ზომის ქვეყნისთვის რა ზომისაც არის საქართველო, სავალუტო რეზერვების ადეკვატურ დონედ ითვლება ითვლება 100-150%-ის ოდენობა. საშუალოვადიან პერიოდში ქვემოდან მაინც მივუახლოდვეთ 100%-ის ზომას. გავაგრძელებთ შესყიდვას, რასაც ბაზარი მოგვცემს საშუალებას.

სავალუტო რეზერვების მოცულობა არის ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. ის ქვეყანაში რისკის დონის განსაზღვრაზეც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ამ ინდიკატორს უყურებენ სარეიტინგო კომპანიებიც, – ამბობს გვენეტაძე.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს სავალუტო რეზერვების მოცულობა ისტორიულ მაქსიმუმზეა და 3,289,847,600 დოლარს შეადგენს.

ბმ.გე

# დავა „ალბატროსსა“ და კომპანიის ყოფილ თანამშრომლებს შორის გრძელდება




გუშინ, 30 იანვარს, მაღალბიუჯეტიან კომპანია ალბატროსსა და მის ყოფილ თანამშრომლებს შორის, რომლებიც კუთვნილი ხელფასების მიღებასა და უკანონო გათავისუფლებას ჩივიან, მორიგი პროცესი გაიმართა.

საქმე, ყოფილი თანამშრომლები ალბატროსის წინააღმდეგ, ერთ-ერთი პრეცედენტულია.

ახლა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მსხვილ დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის არსებული უთანხმოება. კომპანიას, რომლის სახელსაც მისსავე შენობაში ნარკოტიკული საშუალების კულტივაცია, თანამშრომლების მიმართ ღირსებისა და პატივის შემლახველი მოპყრობა უკავშირდება, ყოფილი თანამშრომლები უკანონო გათავისუფლებაში, გაუცემელ ხელფასებსა და კომპენსაციებში ედავება.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ უკვე მე-3 სასამართლო სხდომა იყო, მოსამართლეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია.

ამასობაში კი, ჩვენი ინფორმაციით, კომპანია ალბატროსში, სადაც შემოსავლების სამსახური იყო შესული, არაერთი დარღვევა აღმოაჩინა და ის საკმაოდ სოლიდური თანხებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ალბატროსი ფინანსურ კრიზისშია და კომპანია თანამშრომლებს ამცირებს. თუმცა, აღნიშნულს თავად ალბატროსში არ ადასტურებენ.

საქმეზე მორიგი სხდომა 6 თებერვალს ჩაინიშნა.

**ნიუპოსტი**

# ნათესავი მამაკაცი, რომელმაც მე-12 კლასის მოსწავლე ქორწინების მიზნით გაიტაცა, დააკავეს




კახეთში, იორმუღანლოში 19 წლის გოგო გაიტაცეს.

მე-12 კლასის მოსწავლე საკუთარმა ნათესავმა დაოჯახების მიზნით გაიტაცა.

შემთხვევა რამდენიმე დღის წინ მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამართლადამცავებმა გატაცებული გოგო სახლში დააბრუნეს, მამაკაცი კი პოლიციის განყოფილებაშია გადაყვანილი.

მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, 143-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.

# სიღნაღის სასამართლომ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევაში ბრალდებული 3 პირი პატიმრობაში დატოვა



სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დაკავებული 3 ახალგაზრდა პატიმრობაში დატოვა.

გადაწყვეტილება მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილმა გამოაცხადა. გუშინდელ სხდომაზე დაცვის მხარე გირაოს შეფარდებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ბრალდების მოთხოვნა დააკმაყოფილა.

მხარეებს შორის ინციდენტი 27 იანვარს დედოფლისწყაროში, სოფელ ხორნაბუჯის სტადიონზე მოხდა.

ბრალდების მხარის განცხადებით, ძმები დავით და რობიზონ ყოჩიაშვილები და ირაკლი გლახოშვილი სტადიონზე მყოფების მიმართ აგრესიას გამოხატავდნენ, რის გამოც სამართალდამცავებმა დაშლისა და დამშვიდებისკენ მოუწოდეს, რასაც მათი მხრიდან პოლიციელებზე თავდასხმა მოჰყვა.

ბრალდების საწინააღმდეგო ვერსია აქვთ დაკავებულებს. მათი თქმით, პოლიციელებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს და ახალგაზრდების მიმართ იძალადეს.

დაკავებულები განმარტავენ, რომ პოლიცია მათ მუდმივად დევნის იმის გამო, რომ გლახოშვილი და მისი ძმა წარსულში ყაჩაღობაზე არიან ნასამართლევი.

სასამართლოს გადაწყვეტილებას ადვოკატები გაასაჩივრებენ.

# მესტიაში რესტორანში 22 წლის ბიჭი გარდაიცვალა




მესტიის სოფელ ბარჯასთან, ერთ-ერთ რესტორანში 22 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, გარდაცვლილი ზუგდიდის რაიონის სოფელ ზედა ეწერის მკვიდრია და მესტიიდან ხის მასალა მოჰქონდა.

ის ერთ-ერთ რესტორანში მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა და სასმელის ზედოზირებით გულის შეტევა დაემართა.

ახალგაზრდა მამაკაცს რესტორნის პერსონალმა და მეგობრებმა პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა, სასწრაფო დახმარების ბრიგადას ის გარდაცვლილი დახვდათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლითაა აღძრული, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

# თბილისის №25 ბაგა-ბაღის აღმზრდელი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს



თბილისის ერთ-ერთი საჯარო ბაღის აღმზრდელი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

„სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირი – 1975 წელს დაბადებული მ.რ. დააკავეს. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისში, დაკავებულის მიერ მითითებული სამალავიდან, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი – „ბუპრენორფინის“ შემცველი 130 აბი „სუბოტექსი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“ – აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დაკავებული თბილისის 25-ე საჯარო ბაგა-ბაღის თანამშრომელია.

საბავშვო ბაღში ამბობენ, რომ საგამოძიებო მოქმედებები ადგილზე არ ჩატარებულა. თბილისის №25 საჯარო ბაგა-ბაღის დირექტორი აცხადებს, რომ სამწლიანი თანამშრომლობის პერიოდში დაკავებულისთვის საეჭვო არაფერი შეუმჩნევია.

– ამ ეტაპზე 5-6 წლიან ბავშვთა ჯგუფის აღმზრდელი იყო. სამი წელია, ამ ბავშვებს მოჰყვებოდა. სამი წელია, ჩვენი ბაღი არსებობს და მას შემდეგ დასაქმებული იყო ჩვენთან.

ძალიან ცუდი ფაქტია, თუ ეს დამტკიცდა. ბაღში არაფერში არ იყო ადამიანი შემჩნეული. არანაირი შენიშვნა, არანაირი საყვედური სამი წლის განმავლობაში მის მიმართ არ ყოფილა. იმიტომ, რომ იყო საკმაოდ კარგი თანამშრომელი, – განაცხადა თბილისის №25 საჯარო ბაგა-ბაღის დირექტორმა თიკო ნოზაძემ.

დაკავებულს დადებითად ახასიათებენ იმ ბავშვების მშობლები, რომელთა შვილებიც მის ჯგუფში იყვნენ. ისინი ამბობენ იმასაც, რომ კარგი იქნებოდა თუ ბაგა- ბაღში მუშაობის დაწყებამდე აღმზრდელებს ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარდებათ.

– ძალიან გაგვიკვირდა იმიტომ, რომ ძალიან დადებითი პიროვნება არის. პირველიც მაგასთან სწავლობდა და იმიტომ შემოვიყვანე ამ ბაღში, რომ ჯგუფში მაგასთან მოხვედრილიყო, – განაცხადა აღსაზრდელის მშობელმა მირანდა მიქაბერიძემ.

# პიჯაკების საქმის ადვოკატი ბექა ბასილაია მოსამართლემ პროცესიდან გააძევა



გუშინ, 30 იანვარს, ე. წ. პიჯაკების საქმის სასამართლო პროცესი კამათის ფონზე მიმდინარეობდა.

თემურ ჯანაშიას ადვოკატი ბექა ბასილაია პროცესიდან მოსამართლემ გააძევა. მანამდე კი ის მოსამართლისადმი დაუმორჩილებლობისთვის ორჯერ დაჯარიმდა.

სხდომაზე ბრალდების მხარის მოწმე, ფინანსთა ყოფილი მინისტრი კახა ბაინდურაშვილი დაიკითხა.

პროკურორები ადვოკატების შეკითხვებს აპროტესტებდნენ. ადვოკატ ბასილაიას შეფასებით, მოსამართლე და ბრალდება პროცესზე ერთ მხარეს წარმოადგენდა.

– გამომაძევა მოსამართლე კოჭლამაზაშვილმა, ამ პროცესს საერთო სასამართლო პროცესთან არაფერი არ აქვს. მიმდინარეობს ერთი დიდი ფარსი. პროკურორი და მოსამართლე დგანან აბსოლუტურად ერთ პოზიციაზე, ოღონდ მოსამართლე კიდევ უფრო ბრალმდებლის პოზიციაზე დგას, როდესაც მოწმე ამბობს დაცვის მხარისთვის სასარგებლო ჩვენებას, ამ დროს პროკურორები ერთვებიან, აწყვეტინებენ მოწმეს ისე, რომ სრულიად უკონტექსტოდ და კარნახობენ მათთვის მისაღებ პასუხს.

აქ პრობლემა არის ის, რომ მოსამართლე კოჭლამაზაშვილი არ ახორციელებს მართლმსაჯულებას. ეს არის ფარსი, რაც ამ პროცესზე მიმდინარეობს, – განაცხადა ბექა ბასილაიამ.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსი, თემურ ჯანაშია მოსამართლის ქცევას არაობიექტურს უწოდებს.

– თვითონ მოსამართლის ქცევა ძალიან არაობიექტურია სასამართლოზე, რის გამოც მოხდა, რაც მოხდა. დარბაზიდან გააძევა ჩემი ადვოკატი, რომელიც მე ვთვლი, რომ ძალიან კარგად ასრულებდა თავის საქმეს, – აცხადებს თემურ ჯანაშია.

პროკურორ გიორგი მუჯირის თქმით, სასამართლო სხდომაზე დაცვის მხრიდან არასწორად ინტერპრეტირებული კითხვები ისმოდა, რასაც ბრალდების მხარე აპროტესტებდა.

– ადვოკატის კითხვები გაპროტესტებულ იქნა ბრალდების მხარის მიერ სწორედ იმ საფუძვლით, რომ რიგ შემთხვევებში, არარელევანტური იყო, ხოლო რიგ შემთხვევებში ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას ჰქონდა ადგილი. ათეულობით კითხვა იქნა გაპროტესტებული ბრალდების მხარის მიერ, სხვადასხვა საფუძვლით, – აცხადებს პროკურორი.

# ბათუმში გარემოვაჭრეების აქციაზე 2 პირი დააკავეს



ხმაური იყო გუშინ, 30 იანვარს, ბათუმის ავტოსადგურში, სადაც გარე მოვაჭრეებსა და პოლიციას შორის მომხდარი დაპირისპირების გამო, აქციის 2 მონაწილე დააკავეს.

გარემოვაჭრეები მერიას პირობის დარღვევაში ადანაშაულებდნენ.

მათი განმარტებით, მუნიციპალიტეტი მათ ჯიხურების უფასოდ გადაცემას დაჰპირდა, რომლის საფასურის გადახდა მუშაობის დაწყებიდან მხოლოდ 2 თვეში უნდა დაეწყოთ. გუშინ კი გარემოვაჭრეებს უკვე თანხა მოსთხოვეს.

– ბაზრის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგმებოდა ჯიხურები. ჩამოწერეთ სია. ეს ჯიხურები გაკეთდება ჩვენი თანხით. ეს თანხა შემდეგ, ეტაპობრივად, 1-2 თვე არანაირი გადასახადი არ იქნებოდა, რომ თავისთავად ჩვენ შეგვძლებოდა, მუშაობის შემდეგ გადაგვეხადა ეს თანხა. პირველი 2 თვე იქნებოდა უფასო, შემდეგ კი ამ თანხას, რაც დაჯდებოდა, 50 დოლარის სახით ყოველთვიურად დავფარავდით.

გუშინ საღამოს გამოუცხადებია ბაზრის დირექტორს, რომ მე მასე არ მითქვამსო, თქვენ მომეცით თანხა და მე გავაკეთებო, – განაცხადა ერთ-ერთმა გარემოვაჭრემ.

ავტოსადგურის დირექტორი ზაურ სულამანიძე განმარტავს, რომ მხოლოდ 50 მოვაჭრეს დააკმაყოფილებს, დანარჩენებს კი ადგილს შენობაში სთავაზობს.

დირექტორი ადასტურებს, რომ ჯიხურის ღირებულების 30 პროცენტი მან ნამდვილად მოითხოვა გარანტიის სახით.

– გავწიე ხარჯები, გავაკეთე შიგნიდან და მეუბნებიან, რომ მოგვატყუეთ და არ შემოვალთო. მე არ მინდა, რომ გარეთაც იგივე დამემართოს. მე ვითხოვ, რომ ბეს სახით რაღაც გარანტია მქონდეს. არ არის იმდენი ადგილი ჯიხურისა. ჯიხური შეიძლება ჩაიდგას მხოლოდ 50. მე ალტერნატიულს ვთავაზობ, აქ ავტოსადგურში მივიღებ ყველას, მაგრამ მთელ ქალაქს ვერ მივიღებ, – განაცხადა ზაურ სულამანიძემ.

# ვაშინგტონმა გუაიდოს ამერიკულ ბანკებში ვენესუელის აქტივებზე წვდომა მისცა

## ვენესუელის სასამართლომ გუაიდოს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა



აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, მაიკ პომპეომ დაადასტურა ვენესუელის დროებითი პრეზიდენტის, ხუან გუაიდოს, უფლებამოსილება ამერიკულ ბანკებში ვენესუელის სახსრების გაკონტროლების თაობაზე.

შესაბამის განკარგულებას, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა, ხელი 29 იანვარს მოეწერა.

აშშ-ის ფედერალური რეზერვის შესახებ კანონის თანახმად, ამერიკულ ბანკებში ამა თუ იმ ქვეყნის კუთვნილი თანხების განკარგვის უფლება იმ ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს აქვს, რომლის ლეგიტიმაციასაც აშშ ცნობს.

ხუან გუაიდომ ვენესუელის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად თავი 23 იანვარს გამოაცხადა. აშშ-მა, ფაქტობრივად, დაუყოვნებლივ ცნო ის ქვეყნის ლეგიტიმურ მეთაურად.

თავად გუაიდომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მალე ვენესუელაში ხელისუფლება შეიცვლება.

– ეს მშვიდობიანად მოხდება! – ამბობს ოპოზიციის ლიდერი.

პასუხად ვენესუელის სასამართლომ გუაიდოს ქვეყნიდან გასვლა აუკრძალა. ვენესუელის ბანკებში მისი ანგარიშები დაიბლოკა.

დე ფაქტო პრეზიდენტმა მადურომ განაცხადა, რომ ამერიკული არმია ვენესუელაში შეჭრისთვის ემზადება. მისი მიზანია კანონიერი პრეზიდენტის დამხობა და ხელისუფლებაში გუაიდოს მოყვანა.

– ამერიკელ იმპერიალისტებს საკადრის პასუხს გავცემთ, – განაცხადა მადურომ.

ამასობაში ვენესუელის პარლამენტის დეპუტატმა გერამ განაცხადა, რომ მადუროს რეჟიმს ქვეყნის ოქროს მარაგის მოსკოვში გატანა სურს.

– მადურო ხვდება, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნა დიდხანს ვერ გასტანს, – თქვა გერამ.

დეპუტატის აზრით, ვენესუელის დედაქალაქ კარაკასის აეროპორტში რუსული ავიალაინერი უკვე დაეშვა. ოქროს პირველ პარტიასაც ამით გაიტანენ.

# პოროშენკო პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ თავის პოსტზე კიდევ 5 წლით დარჩენას აპირებს. ამიტომ პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის.

– მე მესმის, რომ წინ რთული ბრძოლა მელის. ამავე დროს, ისიც მჯერა, რომ გავიმარჯვებ, – თქვა მან.

პოროშენკომ განაცხადა, რომ მშვიდობის აღდგენის მომხრეა. ამავე დროს, მშვიდობა ნებისმიერ ფასად მიუღებელია.

– ჩვენ ღირსეული მშვიდობა გვინდა, როცა ქვეყნის ტერიტორია ოკუპანტებისგან გაიწმინდება, უკრაინა კი ერთიან, უნიტარულ სახელმწიფოდ დარჩება, – თქვა პრეზიდენტმა.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ კურსი ევროკავშირისა და ნატოსკენ შეუქცევადია. ამასთან უნდა სდევდეს მკვეთრად გამოხატული პატრიოტული მიმართულება.

– ჩემი სლოგანი უცვლელია: რწმენა, არმია, ენა, – განაცხადა პრეზიდენტმა.



პოროშენკოს რეიტინგი გაიზარდა. ამაში უდიდესი წვლილი შეიტანა როგორც უკრაინული ავტოკეფალის აღიარებამ, ასევე ბრძოლისუნარიანი უკრაინული არმიის შექმნამ. პატრიოტულად განწყობილი მოქალაქეები პოროშენკოს ამისგამო ძალიან ემადლიერებიან.

– პოროშენკო პატრიოტულ პოლიტიკას ატარებს და ეს უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ეკონომიკა, – მიიჩნევს ტარას ჩერნოვილი.

დღეს პოროშენკო მეორე ადგილზეა. მისი რეიტინგი ტიმოშენკოსას 2%-ით ჩამორჩება.

პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდება ორი პროდასავლური ორიენტაციის კანდიდატი – იულია ტიმოშენკო და პეტრო პოროშენკო.

# რიგის მერი ნილ უშაკოვი დააკავეს



გუშინ, 30 იანვარს, რიგის მერი ნილ უშაკოვი დააკავეს. ის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

ამის შესახებ ფეისბუქში რიგის დუმის ყოფილმა დეპუტატმა რუსლან პანკრატოვმა დაწერა.

მისი თქმით, უშაკოვი დააკავეს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს, კნაბ-ის, თანამშრომლებმა.

ჩატარდა ჩხრეკა უშაკოვის სამუშაო კაბინეტსა და მის საცხოვრებელ სახლში.

პარტია „სოგლასიეს“ ლიდერმა იანის ურბანოვიჩმა სააგენტო ლეტა-ს უთხრა, რომ უშაკოვთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

ნილ უშაკოვის სამუშაო კაბინეტიდან დოკუმენტების დიდი საქაღალდე გამოიტანეს.

# ტრამპს ბიუჯეტის რადიკალური შემცირება სურს



აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ქვეყნის ბიუჯეტის რადიკალურად შემცირება სურს.

ამის თაობაზე თეთრი სახლის ეკონომიური საბჭოს ხელმძღვანელმა ლარი კალოუმ განაცხადა.

– შემცირებები თავდაცვის სფეროს არ შეეხება! – ამბობს კალოუ.

# ორბანი რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭებას არ აპირებს

## „ჩვენ რუსეთის და ჩინეთის ინვესტიციები გვჭირდება“



უნგრეთის პრემიერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობის გაფუჭებას არ აპირებს.

პრემიერმა მიანიშნა, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, მასზე ზეწოლა მოახდინონ. მეტი დაკონკრეტება მან არ ისურვა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ ძალებში ის ამერიკელებს მოიაზრებდა.

ორბანმა ხაზი გაუსვა, რომ ნატოს წევრობა უნგრეთისთვის სასიცოცხლოდაა აუცილებელი. ამით ქვეყნის უსაფრთხოება საიმედოდაა დაცული.

უნგრეთის პრემიერმა აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მომავალშიც შეასრულებს ნატოს წევრი ქვეყნის ვალდებულებებს. ამავე დროს, მან ისიც დაამატა, რომ ეს რუსეთთან ცუდ ურთიერთობებს არ ნიშნავს.

– რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები უნგრეთის ინტერესებშია. ჩვენ რუსული და ჩინური ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებულნი ვართ, – თქვა ორბანმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.**

თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი. ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალიწყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ძიუდოისტები პატრიარქმა შეარიგა



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გურამ მოდებაძე თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ ინფორმაცია სოციალური ქსელის მეშვეობით გაავრცელა.

უმწვრთნელოდ დარჩენილი და კონფლიქტებით დახუნძლული ძიუდოისტთა ნაკრების წევრები დაპირისპირების აღმოსაფხვრელად და შესარიგებლად საპატრიარქოში შეიკრიბნენ.

შეხვედრას ეროვნული ნაკრების ძიუდოისტები: ვარლამ ლიპარტელიანი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი, ზებედა რეხვიაშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი და გურამ თუშიშვილი ესწრებოდნენ.

საპატრიარქოში ასევე იყვნენ პარლამენტის დეპუტატი, სპორტის კომიტეტის წარმომადგენელი შოთა ხაბარელი, ძიუდოისტთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ირაკლი ცირეკიძე, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი დავით ქევხიშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი ზურაბ ზვიადაური და სხვა ყოფილი და მოქმედი ძიუდოისტები.

**ილია მეორე:**

– მოგესალმებით და გილოცავთ გამთლიანებას. გილოცავთ შერიგებას. უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი აერთიანებს და ეშმაკი გაჰყოფს. ამიტომ, არასდროს არ უნდა გაჰყვეთ ეშმაკს. აქედან გადახვალთ სიონში და ღვთისმშობლის პარაკლისს აღავლენთ გაერთიანებისთვის.

**შოთა ხაბარელი:**

– ძიუდოისტები შერიგდნენ, პატრიარქმა დალოცა და დარწმუნებული ვარ, რომ ეს დაპირისპირება აღარ უნდა იყოს, რადგან ეს იყო ყველას ნება, რომ პატრიარქს დაელოცა და შეერიგებინა. მთელი წელი მიმდინარეობდა სპორტსმენებს შორის დაპირისპირება, რაც ყველაზე ცუდი იყო.

**ვარლამ ლიპარტელიანი, ძიუდოს ნაკრების კაპიტანი:**

– ძიუდოს ფედერაციაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო, სიტუაცია არ იყო დალაგებული. აქედან გამომდინარე, უწმინდესის თხოვნითა და ლოცვა-კურთხევით მთელი ნაკრები, ძიუდოს ოჯახი სრული შემადგენლობით იყო მოსული, უწმინდესმა დაგვლოცა და მისი ლოცვა-კურთხევით გავერთიანდით.

შეგახსენებთ, რომ ქართულ ძიუდოში დაპირისპირება გასული წლის გაზაფხულიდან დაიწყო, როდესაც ნაკრების ძიუდოისტებმა და კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქევხიშვილის გადადგომა მოითხოვეს. ქევხიშვილმა საბოლოოდ თანამდებობა დატოვა, მისი ადგილი კი გიორგი ათაბეგაშვილმა დაიკავა.

შემოდგომაზე დაპირისპირება უკვე ნაკრების ძიუდოისტებს შორის მოხდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ იაპონიის გრან პრის დროს ქართველი ძიუდოისტები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ.

# მოფარიკავეები მსოფლიოს თასზე ჩაებმებიან



ხვალიდან პოლონეთის დედაქალაქი ხმლით ფარიკაობაში მსოფლიო თასს უმასპინძლებს. ეს ტურნირი წელს პირველი მნიშვნელოვანი შეჯიბრია საქართველოს ხმლით მოასპარეზე ვაჟთა ნაკრებისათვის, რომლისთვისაც 2019 წელი უმნიშვნელოვანესია.

სწორედ წელს მოპოვებული სარეიტინგო ქულები გადაწყვეტს ხმლით მოფარიკავეთა მთავარი მიზნის, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვების საკითხს.

საქართველოს ნაკრები ვარშავაში შემდეგი შემადგენლობით გაემგზავრა: სანდრო ბაზაძე, ბექა ბაზაძე, მიშა მარდალეიშვილი, ნიკა შენგელია, ვაჟა რეჭია და საბა სულამანიძე ინდივიდუალურ შეჯიბრში მოფარიკავეები ხვალ და 2 თებერვალს იასპარეზებენ, ხოლო დასკვნით დღეს, 3 თებერვალს, საქართველოს ნაკრები გუნდურ შეჯიბრში გამოვა.

# შედეგები

**29 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აზიის თასი**

კატარი-საემიროები ........................ 4:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-კარდიფი ........................ 2:1
ვულვზი-ვესტ ჰემი ........................ 3:0
ფულემი-ბრაიტონი ........................ 4:2
ჰადერსფილდი-ევერტონი ........................ 0:1
მანჩესტერი-ბარნლი ........................ 2:2
ნიუკასლი-სიტი ........................ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 23 | 19 | 3 | 1 | 54-13 | 60 |
| 2.სიტი | 24 | 18 | 2 | 4 | 63-19 | 56 |
| 3.ტოტენჰემი | 23 | 17 | 0 | 6 | 48-23 | 51 |
| 4.ჩელსი | 23 | 14 | 5 | 4 | 40-19 | 47 |
| 5.არსენალი | 24 | 14 | 5 | 5 | 50-33 | 47 |
| 6.მანჩესტერი | 24 | 13 | 6 | 5 | 48-35 | 45 |
| 7.ვულვზი | 24 | 10 | 5 | 9 | 30-31 | 35 |
| 8.ევერტონი | 24 | 9 | 6 | 9 | 35-33 | 33 |
| 9.უოტფორდი | 23 | 9 | 6 | 8 | 32-32 | 33 |
| 10.ლესტერი | 23 | 9 | 4 | 10 | 29-29 | 31 |
| 11.ვესტ ჰემი | 24 | 9 | 4 | 11 | 30-37 | 31 |
| 12.ბორნმუთი | 23 | 9 | 3 | 11 | 33-42 | 30 |
| 13.ბრაიტონი | 24 | 7 | 5 | 12 | 27-36 | 26 |
| 14.ნიუკასლი | 24 | 6 | 6 | 12 | 21-32 | 24 |
| 15.ბარნლი | 24 | 6 | 5 | 13 | 25-45 | 23 |
| 16.კრ.პალასი | 23 | 6 | 4 | 13 | 23-32 | 22 |
| 17.საუთჰემპტონი | 23 | 5 | 7 | 11 | 25-40 | 22 |
| 18.კარდიფი | 24 | 5 | 4 | 15 | 20-46 | 19 |
| 19.ფულემი | 24 | 4 | 5 | 15 | 25-53 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 24 | 2 | 5 | 17 | 13-41 | 11 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

სუონსი-ბირმინგემი ........................ 3:3
ბოლტონი-რედინგი ........................ 1:1

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ვალენსია-ხეტაფე ........................ 3:1

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბოხუმი-დუისბურგი ........................ 2:1
ფიურტი-ინგოლშტადი ........................ 0:1
დარმშტადი-ზ.პაული ........................ 2:1
მაგდებურგი-აუე ........................ 1:0

**იტალია. თასი**

მილანი-ნაპოლი ........................ 2:0

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

გენგამი-მონაკო ........................ 2:2 (5:4პ)

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

მეცი-ნანსი ........................ 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფეირენშე-გიმარაეში ........................ 1:2
ბენფიკა-ბოავიშტა ........................ 5:1
პორტიმორენშე-შავიში ........................ 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ინტერს გი: „ხინკალი და ხაჭაპური მიყვარს, მაგრამ ბევრი ჭამა არ შეიძლება“



კოტ დიუარელი ფეხბურთელი ინტერს გი ახალ სეზონში საბურთალოსთვის გაირჯება. მისთვის საქართველო ახალი არ არის, რადგან წინა სეზონში სამტრედიაში თამაშობდა და შემდეგ დატოვა გუნდი. თუმცა, საქართველოს ჩემპიონმა მიიწვია და ახლა დედაქალაქელებთან ერთად თურქულ შეკრებაზეა.

გიმ უკვე მოასწრო სადებიუტო გოლის გატანა – საკონტროლო შეხვედრაში ნაპრედაკის კარში გაიტანა და თავისი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში.

საბურთალოს ლეგიონერის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– როგორ შეეწყვეთ საბურთალოს?***

– საბურთალო კარგი კლუბი რომ იყო – ვიცოდი. საქართველოში გარკვეული პერიოდი ვცხოვრობდი და მეტ-ნაკლებად ქართულ კლუბებზე მაქვს წარმოდგენა. გუნდში იდეალური ატმოსფერო დამხვდა, ნამდვილად ყველა თავის საქმის პროფესიონალია. დაახლოებით 2 კვირაა, რაც კლუბში ვირიცხები და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს 2 წელია საბურთალოში ვთამაშობ.

***– საბურთალო ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარია. ვარჯიშებთან შეგუება ხომ არ გაგიჭირდათ?***

– გუნდი გემოვნებიან ფეხბურთს თამაშობს. სწორედ ეს ის სათამაშო სტილია, რომელიც მიყვარს. ფეხბურთს უხდება სანახაობრივი თამაში – ლამაზი კომბინაციები, სწრაფი შეტევა, გატანილი ბურთები.

***– რამდენიმე კლუბში გითამაშიათ. რას გამოარჩევდით საბურთალოში?***

– პროგრესირებადი და ამბიციური კლუბია. გუნდი ყოველწლიურად წინ მიიწევს. ეს შედეგი უბრალოდ არ მოდის. ჩანს, რომ სწორად მუშაობენ, როგორც კლუბის ხელმძღვანელები, ასევე მწვრთნელები.

***– რა იცოდით ახალი კლუბის შესახებ?***

– ვიცოდი, რომ კლუბს ჰყავს აკადემია, იქიდან საუკეთესო და წარმატებული ფეხბურთელები კი თამაშობენ დუბლებში, შემდეგ კი მთავარ გუნდში.

***– საბურთალოში სადებიუტო გოლს როგორ გაიხსენებთ?***

– მართალია, ამხანაგური მატჩი იყო, მაგრამ გოლის გატანა ყოველთვის სასიამოვნოა. თუმცა, ეს თანაგუნდელების დახმარებით მოხდა – ჩემამდე ბურთი რამდენიმესვლიანი კომბინაციის შემდეგ მოვიდა, მე საბოლოო დარტყმა გავაკეთე და ისე გავიტანე. იმედი მაქვს, საბურთალოს მაისურით კიდევ ბევრ ბურთს გავიტან.

***– თურქეთში შეკრებაზე საბურთალომ 2 ამხანაგური მატჩი გამართა. რას იტყვით ჩატარებულ შეხვედრებზე?***

– რუმინეთის ვიტორულთან მატჩი უფრო რთული იყო, ვიდრე სერბეთის ნაპრედაკთან. მეორე შეხვედრაში ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ მეტოქე. ორივე სპარინგ-მატჩი აგრესიული გამოვიდა. სწორედ, ასეთ ფეხბურთს თამაშობენ ევროპაში.

***– რას გეგმავთ საბურთალოსთან ერთად?***

– მინდა, რაც შეიძლება ბევრი ტიტული მოვიგო – სუპერთასი, ქვეყნის თასი, ჩემპიონობა. იმედი მაქვს, ჩემი თამაშით დავეხმარები გუნდს მიზნების მიღწევაში, როგორც საქართველოს ჩემპიონატში, ასევე ევროტურნირებზე.

***– ეროვნულ ჩემპიონატში ერთი წლის წინაც თამაშობდით. რა მოგწონთ საქართველოში?***

– თბილისი ლამაზი და კარგი ქალაქია, ძალიან მომწონს აქაური გარემო – პატარა ქუჩები, ისტორიული ადგილები. თბილისი ჩემთვის უცხო არაა. მიხარია, რომ საქართველოში დავბრუნდი. ამ პერიოდში ძალიან შემიყვარდა ლობიო, ხაჭაპური და ხინკალი, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ მუდმივად სპორტულ ფორმაში უნდა ვიყო, ნაკლებად ვეტანები ამ გემრიელ კერძებს.

# ბორჯღალოსნებმა ერთმანეთში ითამაშეს



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა წინა სასეზონო მომზადების პირველი ნაწილი, სამდღიანი შეკრება დაასრულა. გუშინ, შევარდენის სანაკრებო ბაზის კარი ქომაგისთვის გაიხსნა და ბორჯღალოსნებმა ერთმანეთში იბურთავეს. რაგბი ევროპის მოსამზადებელი მთავარი შეკრება, კვირას დაიწყება.

იმისათვის, რომ თამაში სრულფასოვანი გამოსულიყო, შეკრებაზე მყოფ ბორჯღალოსნებს დიდი 10-ის კლუბებიდან რამდენიმე მორაგბე დაემატა. შეხვედრა ერთი საათი გაგრძელდა და გუნდებმა მცირე შესვენებებით 3 20-წუთიანი ტაიმი ითამაშეს. მწვრთნელები საქმეში სულ რამდენჯერმე ჩაერთნენ, სხვა მხრივ კი, მორაგბეები შეტევასა თუ დაცვაში სრულად დაიხარჯნენ.

თამაშით კმაყოფილი დარჩა მილტონ ჰეიგი და აღნიშნა, რომ ეს შეხვედრა გუნდს რუმინეთთან მატჩისთვის დაეხმარება:

– დავამთავრეთ შეკრების პირველი ნაწილი. მორაგბეებს ტესტებიც ჩაუტარდათ და მათი მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. რაგბი ევროპაზე პირველ მატჩს წელს პირველად ვატარებთ რუმინეთთან, გვსურს, რომ მათთან შეხვედრისთვის უკეთ მოვემზადოთ და ეს ამხანაგური თამაში ამას ემსახურებოდა. გარდა ამისა, ქომაგს წელს ნაკრების თამაში არ უნახავს და გვსურდა მათთვის კარი გაგვეხსნა. ეს ბიჭებსაც მოსწონთ, თამაშს მარილს მატებს და მსგავს პრაქტიკას მომავალშიც გამოვიყენებთ.

მერაბ შარიქაძე, ბორჯღალოსნების კაპიტანი:

– უჩვეულო დღე გვქონდა, აქამდე ერთმანეთის წინააღმდეგ ოფიციალურ შეხვედრასთან მიმსგავსებული თამაში არასდროს გვქონია, მით უმეტეს, ამდენი მაყურებლის წინაშე. უცნაური იყო, თუმცა მეტად საჭირო, რადგან რუმინეთი ამ კვირაში მოსამზადებელ მატჩს მართავს პორტუგალიასთან, ჩვენთვისაც საჭირო იყო ასეთი თამაშის დაგეგმვა. ვარჯიშებზე შეცდომები ნაკლებად ჩანს და ხელოვნურად შევიქმენით სათამაშო სიტუაცია, რათა ოფიციალური შეხვედრისთვის უკეთ მოვემზადოთ.

ახლა ბორჯღალოსნები თავ-თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან და უქმეებზე ჩემპიონატების მორიგი ტურების მატჩებს გამართავენ, ხოლო ორშაბათიდან კვლავ შეიკრიბებიან და რაგბი ევროპის პირველი მატჩისთვის შეუდგებიან მზადებას, რომელსაც 9 თებერვალს კლუჟში, რუმინეთის წინააღმდეგ გამართავენ.

აღსანიშნავია, რომ მატჩი, რომელშიც რუმინეთთან საზიარო „ანთიმოზ ივერიელის სახელობის თასი“ გათამაშდება, ქართულ-რუმინული ურთიერთობის 300 წლის იუბილეს ეძღვნება.

# ხვიჩა კვარაცხელია ლოკომოტივში ითამაშებს

საქართველოს 19-წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების ლიდერი ხვიჩა კვარაცხელია კარიერას მოსკოვის ლოკომოტივში გააგრძელებს.

ინფორმაცია თავად რუსეთის მოქმედი ჩემპიონის მთავარმა მწვრთნელმა იური სიომინმა დაადასტურა, რომლის თქმითაც, ქართული ფეხბურთის ტალანტი გუნდს მარბელაში მიმდინარე შეკრებაზე შეუერთდება.

სატრანსფერო დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არაა. მოგეხსენებათ, კვარაცხელია არასრულწლოვანია და 18 წლის 12 თებერვალს ხდება, კონტრაქტზე ხელის მოწერას კი ამის შემდეგ შეძლებს.

იური სიომინი:

– სატრანსფერო ფანჯრის დასრულებამდე 2 დღით ადრე, კიდევ ერთი ტალანტი, 17 წლის ქართველი ნახევარმცველი ხვიჩა კვარაცხელია შევიძინეთ. ის უახლოეს დღეებში მარბელაში შეკრებაზე შემოგვიერთდება.

კვარაცხელია, რომელიც თბილისის დინამოს აკადემიის აღზრდილია, 2018 წლიდან საფეხბურთო კლუბ რუსთავის შემადგენლობაში ირიცხებოდა. ეროვნული ლიგის წინა სეზონში მან 18 მატჩი ჩაატარა, 3 გოლი გაიტანა და ამდენივე საგოლე გადაცემით გამოირჩა. ახალგაზრდა ფეხბურთელს 17-წლამდელთა ნაკრებში 20 მატჩი (15 გოლი), ხოლო 19-წლამდელთა ნაკრებში 5 (2 გოლი) შეხვედრა აქვს ჩატარებული.



ქართველი ფეხბურთელის გადაბირებით სიომინი დიდი ხანია ინტერესდება. ადრე დაიწერა, რომ სპეციალისტმა ფეხბურთელის შეძენა ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს, კლუბის სატრანსფერო კომიტეტის სხდომაზე მოითხოვა, თუმცა მაშინ გარიგება ვერ შედგა.

მოსკოვის ლოკომოტივში ამჟამად საქართველოს ნაკრების 26 წლის მცველი საბა კვერკველია გამოდის. რუსეთის ჩემპიონებს მიმდინარე ჩემპიონატში 17 ტურის შემდეგ 28 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილს იკავებენ.

## ცრურწმენა დაეხმარა ამერიკელს ლატარიაში სამჯერ დიდი თანხის მოგებაში



აზარტული თამაშების მოყვარული ამერიკის მერილენდის შტატის მკვიდრი ამტკიცებს, რომ სამჯერ ჯეკპოტი თავისი ცრურწმენის წყალობით მოხსნა.

ქალაქ ბალტიმორის მცხოვრებმა მამაკაცმა სამჯერ ზედიზედ მოიგო ლატარიაში 50 ათასი დოლარი, ასევე მცირე ჯილდო მიიღო ციფრების სხვა კომბინაციისთვის, რითიც მისმა ჯამურმა მოგებამ 151,4 ათასი დოლარი შეადგინა.

იღბლიან მამაკაცს ზედიზედ სამჯერ ამოუვიდა ხუთი რიცხვისგან შემდგარი კომბინაცია 2–10–11–25–31. მისი თქმით, ამ ყოველი რიცხვის უკან მისთვის მნიშვნელოვანი თარიღი დგას – მისი ახლობელი ადამიანების დაბადების დღეები.

მამაკაცის თქმით, ის მოგებული თანხის ნაწილს ოჯახის წევრებისთვის განაწილებას აპირებს, ხოლო თანხის ნაწილს კი სამომავლოდ გადადებს.

## უფასო სადილისთვის რიგში ჭყლეტას ორი მოხუცი შეეწირა



მალაიზიაში ორი ხანდაზმული ქალი შეეწირა უფასო სადილის კუპონის მისაღებად რიგში მდგომთა შორის დაწყებულ არეულობას და მის შედეგად წარმოქმნილ ზედახორას.

ქვეყნის დედაქალაქ კუალა-ლუმპურის ერთ-ერთ ბაზარში მოხუცებულებისთვის 200 ცალი კუპონის დარიგება მოეწყო, რომლის საშუალებითაც უფასო სადილის მიღებას შეძლებდნენ. ეს ღონისძიება მთვარის კალენდრის მიხედვით ახალი წლის დადგომასთან იყო დაკავშირებული. იმ პავილიონთან, სადაც კუპონები უნდა დაერიგებინათ ათასზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი. ტერიტორიის დაცვის თანამშრომლების თქმით, თავმოყრილი ბრბოდან ყვირილის ხმები ისმოდა, ხოლო იქ მყოფები ერთმანეთს უბიძგებდნენ.

78 წლის ლო აიონ ნანს და 85 წლის ა პოს, რომლებიც რიგში იდგნენ, სუნთქვის პრობლემები დაეწყოთ. მათ წონასწორობა დაკარგეს და ძირს დაეცნენ, ხალხმა კი მათ ზევიდან გადაუარა. მათი ცხედრები პოლიციამ აღმოაჩინა და ექსპერტიზაზე გადააგზავნა.

ბაზრის წარმომადგენლების თქმით, ჭყლეტის შედეგად სულ ოთხი ადამიანი დაზარალდა, ვინაიდან ხალხი ყურს არ უგდებდა მითითებებს და ერთმანეთს ხელს კრავდნენ, რათა ურიგოდ წასულიყვნენ.

## ცნობილი მარტოხელა გარეული იხვი ძაღლებმა დაგლიჯეს



წყნარი ოკეანის კუნძულ ნიუეზე იქ მობინადრე ერთადერთი გარეული იხვი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ცნობილი ფრინველის დაღუპვის თაობაზე ფეისბუქში ნიუეის კომერციული პალატის ხელმძღვანელმა რეი ფინდელმა დაწერა.

– ჩვენ გადავამოწმეთ შეტყობინება ტრევორის დაღუპვის თაობაზე, ის ძაღლების თავდასხმის შემდეგ ბუჩქებში მკვდარი იპოვეს, – დაწერა ფინდელმა სოციალურ ქსელში იხვის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

ფრინველი კუნძულ ნიუეზე 2018 წლის იანვრის ქარიშხლის შემდეგ დამკვიდრდა და მაშინვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მას ახალი ზელანდიის პარლამენტის სპიკერის ტრევორ მალარდას პატივსაცემად ტრევორი დაარქვეს. კუნძულზე სხვა იხვები არ ბინადრობდნენ.

იმის გამო, რომ კუნძულზე შესაფერისი წყალსატევი არ არსებობდა, ტრევორს ცხოვრება დიდ გუბურაში უწევდა, ხოლო სიცხეში გუბურა რომ არ ამომშრალიყო, ადგილობრივი მეხანძრეები დროდადრო მასში წყალს უმატებდნენ. ადგილობრივები კი ფრინველს სხვადასხვა საკვებს უყრიდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სტუდენტ გოგონას ტუჩის საცხის წასმის შემდეგ სულის ხუთვა დაეწყო



მას შემდეგ, რაც სტუდენტმა გოგონამ ტუჩებზე გერმანული კოსმეტიკური ბრენდის ნივეას მიერ წარმოებული საცხი წაისვა, სულის ხუთვა დაეწყო.

19 წლის ემი ბრაუნს, ქალაქ მიდლსბროს მკვიდრს, ადრეული ბავშვობიდან აწუხებდა ალერგია თხილის მიმართ და სანამ საცხს გამოიყენებდა გულდასმით გაეცნო მის შემადგენლობას. მას შემდეგ, რაც მის შემადგენლობაში მისი ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნივთიერებები ვერ აღმოაჩინა, საცხი ტუჩებზე წაისვა. რამდენიმე წამში მან ჯერ ტუჩებში ჩხვლეტა იგრძნო, შემდეგ ხელები გამონაყრით დაეფარა და მალევე სუნთქვა გაუძნელდა.

– როდესაც ალერგიის შეტევა დამეწყო, ყელის არეში ბუშტუკები ვიგრძენი და ისინი საშინლად მექავებოდა, – განაცხადა გოგონამ. მან მაშინვე მოიშორა ტუჩებიდან საცხი, მიიღო ალერგიის საწინააღმდეგო საშუალება.

მალე გაირკვა, რომ საცხის შემადგენლობაში მითითებული იყო ნუშის ზეთი სახელწოდებით – Prunus Amygdalus Dulcis (ჩვეულებრივი ნუში), რომელიც გოგონამ ვერ გაიგო.

გოგონა ნივეას წარმომადგენლობას დაუკავშირდა, მომხდარის შესახებ აცნობა და სთხოვა, რომ საცხის შემადგენლობა მყიდველებისთვის უფრო გასაგებ ენაზე დაებეჭდათ, თუმცა მას უპასუხეს, რომ კომპანიას ევროპის კანონმდებლობა არ დაურღვევია, ვინაიდან ნივთიერების სრული შემადგენლობა მიუთითა.

## იაპონელს ტარაკანა შეუყვარდა და შეჭამა



იაპონელი იუტა შინოხარა ერთ-ერთ გამოცემას ტარაკანთან თავის რომანზე ესაუბრა.

შინოხარას ბავშვობიდან უყვარდა მწერების ჭამა, თუმცა თავის გატაცებას გარშემომყოფთაგან მალავდა, მაგრამ მას შემდეგ რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის 2013 წლის მოხსენებას გაეცნო, რომელშიც საუბარი იყო მწერებზე, როგორც სასარგებლო საკვებ პროდუქტზე, მას თავისი ამ გატაცების გამო აღარ ერიდებოდა.

ამჟამად შინოხარა საკუთარ დაწესებულებაში კერძებს მწერებისგან ამზადებს, რომლებიც უკვე შვიდი ათასზე მეტმა ადამიანმა დააგემოვნა. ერთი ულუფა კერძის დასამზადებლად ასამდე მწერია საჭირო.

შინოხარა მთელი წლის მანძილზე ხვდებოდა ტარაკანას სახელად ლიზას, რომელიც მან აფრიკიდან გამოიწერა. მისი სიკვდილის შემდეგ კი შეყვარებულმა იაპონელმა მწერი შეჭამა. მისი მტკიცებით, ის ხშირად ფანტაზიორობდა მწერთან სექსზე.

## დინამო ესპანელებით ივსება, ტორპედო თურქეთში წავა

მას მერე, რაც ჩისკო მუნიოსი თბილისის დინამოში დაბრუნდა და ზაურ სვანაძის სამწვრთნელო შტაბს შეუერთდა, საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს უკვე მესამე ესპანელმა ფეხბურთელმა მიაშურა.

ვიცე-ჩემპიონმა ამჟამად 26 წლის ცენტრალური მცველი ვიქტორ მონილ ადევა დაიმატა, რომელსაც მარჯვენა ფლანგზე თამაშიც შეუძლია. ის ვალიადოლიდის აღზრდილია და სხვადასხვა დროს მადრიდის ატლეტიკოს ბ გუნდში, ალკოიანოში,



მერიდასა და პონტევედრაში უთამაშია. ბოლოს ადევა ლევანტეს მეორე გუნდში ირიცხებოდა, რომელიც სეგუნდა დივიზიონ ბ-ში გამოდის.

დინამოში ასევე მეკარე ხოსე პერალესი (ბადალონა) და შემტევი ფრან კარბია (რეუს დეპორტიუ) შეუერთდნენ, მათ გარდა თბილისურ კლუბში არგენტინელი ანტონიო როხანოც გადაბარგდა, რომელიც სეგუნდა დივიზიონის ბინადარ ბურგოსში გამოდიოდა.

ვიცე-ჩემპიონმა ორი ფეხბურთელი გადაიბირა ქუთაისის ტორპედოდან. გიორგი კუხიანიძემ თბილისურ კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კუხიანიძე ქუთაისური კლუბის აღზრდილია. ტორპედოს გარდა სხვადასხვა დროს თბილისის ლოკომოტივში და ქობულეთის შუქურაში უთამაშია.

თბილისელებმა ტორპედოდან ასევე ლევან კუტალია, ხოლო ჩემპიონ საბურთალოდან ნოდარ იაშვილი გადაიბირეს.

ახალწვეულებთან და სინჯებზე მყოფ ფეხბურთელებთან ერთად თურქულ შეკრებაზე მყოფმა დინამომ პირველი ამხანაგური მატჩი პლოვდივის ლოკომოტივთან გამართა და ფრედ, 2:2 ითამაშა. დინამო ორჯერ იგებდა – ჯერ როხანოს, შემდეგ კი დმიტრო ივანისენიას გოლებით, მაგრამ საბოლოოდ ფრეს გამორჩა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ზაურ სვანაძემ საქმეში ბევრი ფეხბურთელი ნახა.

ბულგარულ კლუბთან დინამომ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

სიკაჩი (მამარდაშვილი 30, პერალესი 60), რუხაია, მეჯუბი (გაბიტაშვილი 53), კობოური (ქაფიანიძე 66), იაშვილი (ძოწენიძე 46), ივანისენია (პაპავა 46), კუხიანიძე (ზარია 46), შენგელია (შულაია 56), კარბია, კუტალია, როხანო (ერგემლიძე 58).

თურქეთში გაივლის შეკრებას ქუთაისის ტორპედოც, სადაც 3 თებერვალს მიემგზავრება დაეროვნული ლიგისთვის მზადების პროცესს იქ გააგრძელებს.

იმერული კლუბი თურქეთში 2 კვირა დარჩება და 5 ამხანაგურ მატჩს გამართავს. ამის შემდეგ ტორპედო საქართველოში დაბრუნდება და სუპერთასისთვის ქუთაისში მოემზადება.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ასტროპროგნოზი

### 31 იანვრისათვის



**ვერძი** – დაისვენეთ, შეხვდით საყვარელ ადამიანებს. გიძლიერდებათ აურა. **კურო** – ნუ გადაიღლებით. მოვლენები თვითდინებაზე მიუშვით. პრობლემის მოგვარებაში თქვენთვის დამახასიათებელი ოპტიმიზმი დაგეხმარებათ. **ტყუპები** – დაუმთავრებელი საქმე უსიამოვნებას შეგიქმნით. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. **კირჩხიბი** – მატერიალურ სფეროში ცვლილებები ჩვეულებრივად მიიღეთ. ნუ ეცდებით ღია კარის შემტვრევას. **ლომი** – ინტიმურ სფეროში, მეგობრებთან ურთიერთობაში გიმართლებთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ქალწული** – საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ეცადეთ, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება დღეს არ მიიღოთ. **სასწორი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი, განსაკუთრებით – ოჯახის წევრების მიმართ. საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** – ნუ ეცდებით, ყველას თავი მოაწონოთ. ენერგია დაზოგეთ. **თხის რქა** – საქმიანი მოლაპარაკებები ჩიხში შევა. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **მერწყული** – ერიდეთ მუდამ უკმაყოფილო ადამიანებთან ურთიერთობას. ძველი ვალი დააბრუნეთ. **თევზები** – მოსალოდნელია დაძაბულობა, სტრესი. სიმშვიდე შეინარჩუნეთ და პრობლემები რაციონალურად გადაწყვიტეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხეობაზე გაყვანილი ხიდი; 2. აბანოს თანამშრომელი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 4. პლანეტის თანამგზავრი; 7. ცნობილი ფინელი კომპოზიტორი; 8. წყალში გახსნილი სახატავი საღებავი; 12. პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ კინორეჟისორი; 14. ენისა და ლიტერატურის მკვლევარი მეცნიერი; 16. ქანების სანგრევი, ორი წვეტიანი პირის მქონე რკინის იარაღი; 17. მდინარის ძვირფასი სარეწაო თევზი; 19. ცხენების ჯოგი; 20. ქართული ზღაპრების პერსონაჟი – ავი სული.

**თარაზულად:** 5. აფრიკის სახელმწიფო, სამხრეთ როდეზიის დღევანდელი სახელწოდება; 6. სახელმწიფო ევროპაში; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ვანის რაიონში; 10. ღვინის ვაჭარი ძველად; 11. ნახევრად ტკბილი, თეთრი ფერის ქართული სამარკო ღვინო; 13. წყლის საქაჩი მექანიზმი; 15. ზღვისპირა კურორტი ესტონეთში; 18. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 21. ქალ-ვაჟის შეუღლება კანონიერი გაფორმებით; 22. ორაზროვანი, გადაკრული სიტყვა; 23. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ბაჟი; 2. მეოხი; 3. კოიტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. კარაბინერი; 10. გლუკოზა; 12. აპრიორი; 14. ჩრჩილი; 15. საცივი; 16. კიევო.

**თარაზულად**: 1. ბოჰემა; 4. ედისონი; 7. ჩხოუში; 9. ტონაჟი; 11. არსენალი; 12. ალკოჰოლი; 13. სკვერი; 17. მარულა; 18. ცეცე; 19. არმანიაკი; 20. ფიტომალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კოსტავა; 2. სადაფი; 3. მორიკონე; 4. მაჭახელა; 7. ტაქსაფონი; 8. ჯავახეთი; 12. ჰონორარი; 14. დანსინგი; 16. ბოჰემია; 17. კუპდარი; 19. დუმა; 20. ბახი.

**თარაზულად**: 5. პოტენცია; 6. აპოსტასია; 9. მადონა; 10. ფრანკი; 11. ზვარე; 13. კონტე; 15. საღამო; 18. შორტი; 21. ინანთეული; 22. მუშამბა; 23. ტავრიდა.

# ქლოე ქარდაშიანმა გიორგი ქებურიას სამოსში იპოზიორა



ანუკი არეშიძის შემდეგ, მსოფლიო ვარსკვლავმა ქლოე ქარდაშიანმა კიდევ ერთი ქართველი დიზაინერის გიორგი ქებურიას სამოსში იპოზიორა. მან ქართველი დიზაინერის კოლექციიდან შავი კაბა შეარჩია, რომელიც მოდელმა თათია ახალაიამ თბილისი მერსედეს ბენცის კვირეულზე გასულ წელს პოდიუმზე გამოიტანა.

ქლოე ქარდაშიანი ქარდაშიანების ცნობილი გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც პოპულარული თავისი თამამი ქცევებით გახდა.

გიორგი ქებურიას სამოსი მსოფლიო ვარსკვლავებში კარგად არის ცნობილი. მისი ტანსაცმლით და აქსესუარებით თავს იწონებენ რიანა, ლედი გაგა, სოლანდ ნოულესი და სხვა ცნობილი სახეები.

# ბერა ივანიშვილი ახალ კლიპში ტრანსგენდერ ანასტასიასთან ერთად გამოჩნდება



ინტერნეტში ბერას ახალი კლიპის გადასაღები მოედნიდან ფოტოები ვრცელდება.

გავრცელებული ინფორმაციით სიმღერა თანასწორობაზე იქნება და სავარაუდოდ ბერასთან ერთად მას ტრანსგენდერი ქალი, ანასტასია პირველი შეასრულებს.

ანასტასია პირველი ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მას შემდეგ გახდა, რაც მან „საქართველოს ვარსკვლავის" შესარჩევ ტურში მიიღო მონაწილეობა. იმის მიუხედავად, რომ ანასტასიამ ჟიურის მოწონება დაიმსახურა და კონკურსის პირველი ეტაპიც წარმატებით გადალახა, ის საბოლოო ათეულში მაინც ვერ მოხვდა.

**ნიუპოსტი**

# ერეკლე მეორეზე 1755 წელს გერმანულად გამოცემული წიგნი ლონდონის ბიბლიოთეკაში ინახება




ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორეზე გერმანულად 1755 წელს გამოცემული წიგნი ლონდონის ბიბლიოთეკაში ინახება.

ბრიტანეთში მყოფმა ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ წიგნი ფართო საზოგადოებას ინტერნეტის საშუალებით წარუდგინა:

— არც ერთ ქართველ მეფეზე, გარდა ერეკლე მეორისა, ევროპაში რამდენიმე ენაზე წიგნი არ დაუწერიათ.

ესეც გერმანულად პატარა კახზე, 100 გვერდიანი წიგნი. 1755 წელი.

# ფოთში ულამაზესი შენობა ინგრევა



ფოთის ულამაზესი შენობების უმეტესობა უმძიმეს მდგომარეობაშია. მათ უმრავლესობას სასწრაფო რესტავრაცია ესაჭიროება.

ინტერნეტ-გვერდმა „ფოთი ჩემი ქალაქია" ერთ-ერთ ასეთ შენობასთან დაკავშირებით გაავრცელა ინფორმაცია:

— ასეთი ულამაზესი ისტორიული შენობები არის ჩვენს ქალაქში, რომლებიც დანგრევის პირასაა. ხომ შეიძლება რეკონსტრუქცია ჩაუტარდეთ და დაუბრუნდნენ თავიანთ პირვანდელ სახეს?!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

# დედამ შეცდომით შვილის დანაზოგი თანხა ძველმანების მაღაზიაში ჩააბარა




ამერიკის ჯორჯიის შტატის მცხოვრებმა ლინდსი პრეისმა შემთხვევით ძველმანების მაღაზიაში ჩააბარა შვილის ძველი თავსახურიანი ჭიქა, რომელშიც ათასობით დოლარი იდო.

რამდენიმე კვირის წინ სახლის დალაგებისას ქალმა გადაწყვიტა კარადა ძველი ნივთებისგან გაეთავისუფლებინა. ერთ-ერთ ყუთში მან აღმოაჩინა ბავშვის მიკი-მაუსის გამოსახულებიანი თავსახურიანი ჭიქა, რომელსაც სამგზავროდ იყენებენ. პრეისმა მასში არ ჩაიხედა, დაახლოებით 20 წლის წინ ნაყიდი ნივთი უსარგებლოდ ჩათვალა და ის არაკომერციული ორგანიზაციის ძველმანების მაღაზიას შესწირა, რომელიც უსახლკაროებს ეხმარება.

მალე დედას მისი 27 წლის შვილი დევონ სილვი ეწვია და ჭიქას დაუწყო ძებნა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ დედამისმა ის მაღაზიას ჩააბარა, პანიკაში ჩავარდა. აღმოჩნდა, რომ ის მასში 6,5 ათას დოლარს ინახავდა, რომელიც ძველი მანქანის გაყიდვაში აიღო.

ქალმა მაღაზიას მიაკითხა, მაგრამ მისმა თანამშრომლებმა ჭიქა ვეღარ იპოვეს. მათი თქმით, სავარაუდოდ, ის უკვე გაიყიდა, ისე, რომ მისი შიგთავსი არც მათ შეუმოწმებიათ. პრაისმა პრესის საშუალებით მოუწოდა მყიდველს, რომ მან სწორი არჩევანი გააკეთოს და ჭიქა ძველ პატრონს დაუბრუნოს.

# ამერიკელმა საყვარელ პორნომსახიობთან ურთიერთობისთვის ოჯახის წევრები დახოცა



ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრები ახლო ნათესავების მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, რომლებიც მას ბულგარელ პორნომსახიობთან მიმოწერას უკრძალავდნენ და რომელზეც ის ათეულ ათასობით დოლარს ხარჯავდა.

25 იანვარს პოლიციამ 59 წლის ჩედ ამატოს, მისი მეუღლის მარგარეტის და მათი 31 წლის შვილის კოდის ცხედრები აღმოაჩინა. სამივე პისტოლეტიდან გასროლით მათსავე სახლში იყო მოკლული. მეორე დღეს სამართალდამცავებმა მათი უმცროსი შვილი 29 წლის გრანტ ამატო დააკავეს. სწორედ ის არის ეჭვმიტანილი საკუთარი მშობლებისა და უფროსი ძმის მკვლელობაში.

2018 წლამდე გრანტ ამატო ანესთეზიოლოგის პროფესიას ეუფლებოდა და შეთავსებით მედძმად მუშაობდა. ივნისის ბოლოს საავადმყოფოს ორ შენობაში, რომელზეც პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა, პროპოფოლის რვა ცარიელი ამპულა აღმოაჩინეს — საძილე საშუალება, რომელსაც ქირურგიული ოპერაციის დროს ნარკოზისთვის იყენებენ. გამოძიებამ დაადასტურა, რომ გრანტი მათ საავადმყოფოს საწყობიდან იღებდა. ამის შემდეგ ის სასწავლო დაწესებულებიდან და საავადმყოფოდან გამოაგდეს. შემოსავლის გარეშე დარჩენილი ამატო მშობლებთან გადავიდა საცხოვრებლად.

ის მთელ თავისუფალ დროს ფასიან ეროტიკულ ვიდეოჩათებში ატარებდა. ის გატაცებული იყო ბულგარელ პორნოვარსკვლავთან ურთიერთობით და მთელ ფულს ამაში ხარჯავდა. ამისთვის მან მშობლებს 150 ათასი დოლარი მოჰპარა, მათი სახლი 65 ათას დოლარად გირაოში ჩადო და ძმას იარაღი გაუყიდა. სამ თვეში მან ბულგარელთან საუბარში 200 ათასზე მეტი დოლარი დახარჯა.

გასული წლის დეკემბერში მშობლებმა გრანტს მოსთხოვეს, რომ პორნოდამოკიდებულთა სამკურნალო სარეაბილიტაციო ცენტრში დაწოლილიყო, მან კურსის ბოლომდე გავლაზე უარი თქვა და რამდენიმე კვირაში გამოეწერა. სახლში დაბრუნების შემდეგ მამამ მას პირობა ჩამოართვა, რომ პორნომსახიობთან ურთიერთობაზე უარს იტყოდა. ამის მიუხედავად, გრანტმა ტვიტერით ქალთან ურთიერთობა გააგრძელა. თუმცა ამის დიდხანს დამალვა ვეღარ შეძლო. მშობლებმა და ძმამ ის პირობის დარღვევაში დაადანაშაულეს და მათი სახლის დატოვება მოსთხოვეს. გრანტი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის შემდეგ ის ქალაქ ორლანდოს სასტუმროში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც შემდეგ ის სამართალდამცავებმა დააპატიმრეს. პოლიციაში კი ფიქრობენ, რომ ნათესავების კამათი მათი დახოცვით დასრულდა.

# ქალს ცხვირიდან 12 წლის წინ დაკარგული ბეჭედი გადმოუვარდა



ბრიტანეთის უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ კიტლის მცხოვრები 12 წლის მანძილზე ვერ ამჩნევდა, რომ ცხვირში ბეჭედი ჰქონდა გაჭედილი.

— ჩვეულებრივი, ნორმალური დღე იყო, დივანზე ვიჯექი და უცბად ცხვირის ცემინება ამიტყდა, — აცხადებს 20 წლის ებიგეილ ტომპსონი, რომელიც კოსმეტოლოგად მუშაობს, — შემდეგ ცხვირსახოცს დავხედე და ვფიქრობ: „ეს რა ჯანდაბაა!"

ცხვირსახოცზე ეგდო ბეჭედი, რომელიც მან 2007 წელს დაკარგა. ბეჭედი მას ცხვირის ცემინების დროს ცხვირიდან გადმოუვარდა.

ბეჭედი დედამ აჩუქა, როდესაც ის რვა წლის გახდა. რამდენიმე თვეში ბეჭედი დაიკარგა, ეჭვი ებიგეილის მეგობრებზე მიიტანეს, იფიქრეს, რომ რომელიმე მათგანმა მოიპარა.

— მილიონი წელიც კი ვერ მივხვდებოდი, რომ ის ჩემ ცხვირში იქნებოდა გაჭედილი, — განაცხადა ებიგეილმა.

დედამისის აზრით კი, ეს მაშინ მოხდებოდა, როდესაც გოგონას ცხვირში თითი ჰქონდა შეყოფილი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მეხსიერებადაკარგულმა გოგონამ საქმრო რამდენჯერმე ხელახლა გაიცნო



ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მეხსიერების დაკარგვის გამო იაპონელ გოგონას თავისი საქმრო ავიწყდებოდა და მას ხელახლა იცნობდა.

ცხრა თვის წინ 24 წლის მარუიამა ველოსიპედით მგზავრობდა, რა დროსაც მას მანქანა დაეჯახა. კომიდან გამოსვლის შემდეგ გოგონა თავის ახლობლებს ვეღარ ცნობდა, მათ შორის, ვერც თავის მეგობარ მამაკაც ლი ხუაიუიას, რომელსაც ორწლინახევრის მანძილზე ხვდებოდა.

ლის იმედი ჰქონდა, რომ დროთა განმავლობაში გოგონას მეხსიერება დაუბრუნდებოდა, თუმცა ავარიიდან ორი თვის თავზე გოგონას უკვე ისიც ავიწყდებოდა, რაც კომიდან მისი გამოსვლის შემდეგ ხდებოდა. შემდეგ კი მეხსიერების დაკარგვა ყოველდღიური გახდა. როდესაც გოგონა დილით იღვიძებდა, მას არ ახსოვდა არც ის, რაც წინა დღეს მოხდა და არც ის ადამიანები, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ.

დაგეგმილი ქორწილი გადაიდო, თუმცა ლი უკან დახევას არ აპირებდა. ის ყოველდღე უყვებოდა გოგონას საკუთარ თავზე და მათი ურთიერთობის დამადასტურებელ საბუთებს უჩვენებდა. გარდა ამისა, ექიმების რჩევით გოგონა ყოველდღე დღიურს ავსებდა, შემდეგ ყოველდღე კითხულობდა და მეხსიერებას აღიდგენდა.

ერთხელაც მარუიამამ ლის ურჩია მას დაშორებოდა, ვინადან, მისი თქმით, ასეთი ურთიერთობიდან არაფერი გამოუვიდოდათ. მეორედ კი მასზე დაქორწინება შესთავაზა.

— ამნეზიის გამო მასზე ისევ და ისევ შეყვარების შანსი მეძლევა, — განუცხადა გოგონამ ერთ-ერთ იაპონურ ტელეარხს, — რამდენჯერაც არ უნდა დავკარგო მეხსიერება, დარწმუნებული ვარ, რომ მას ისევ შევიყვარებ.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

31 იანვრისთვის

აშშ დოლარი — 2.6552

ევრო — 3.0386

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4929

100 რუსული რუბლი — 4.0068

## ამინდის პროგნოზი 31 იანვრისთვის





## „ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

## „მე მიყვარს კითხვა“

**29 იანვრიდან**

რევაზ ინანიშვილი

**რჩეული მოთხრობები**




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**5 თებერვლიდან**

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მონტესუმას ასული**




**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**31 იანვრიდან**

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**


## იუმორი

ნაცნობი სომეხს ეკითხება:

– სეროჟ, საიდან გაქვს ასეთი მაგარი საათი?

– სიკვდილის წინ მამამ მომყიდა.

•••

ქმარი ხანგრძლივი კამათის შემდეგ ცოლს ეუბნება:

– კარგი... დაე, ისე იყოს, როგორც შენ გსურს...

– უკვე გვიანია! გადავიფიქრე!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ჩემ ჯადოსნურ სარკეს ვკითხე: „ვინ არის ყველაზე ლამაზი და მომხიბვლელი?“

– მერე, რა გიპასუხა?

– უკვე მესამე დღეა, სიას მიკითხავს და მათში ჯერ საკუთარი თავი ვერ აღმოვაჩინე.

•••

მივლინებიდან სახლში დაბრუნებული მამაკაცი ცდილობს თავისი შვილისგან გაიგოს, ცოლი ღალატობდა თუ არა და ეკითხება:

– ჩემ არ ყოფნაში უცხო ბიძია მოდიოდა?

– არა!

– კანფეტებს გაძლევდა?

– კი!

•••

პატარა გოგონა მამას ეუბნება:

– მამიკო, რომ გავიზრდები, არ გავთხოვდები და თქვენთან ვიცხოვრებ!

– მამას ნუ ემუქრები!

•••

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– თუ იცით, რა გელით ცრუ ჩვენებისთვის?

– როგორ არა, კუნძულს და ვილას დამპირდნენ ესპანეთში.

მოხუცი დათვი ახალგაზრდას რჩევას აძლევს:

– ადამიანს თავს ისე უნდა დაესხა, რომ შენი დანახვა და რეაგირება მოასწროს.

– რატომ?

– უფრო გემრიელია, მისი ორგანიზმი სუფთავდება...

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– რას იტყვი შენ ყოფილ ქმარზე?

– გულუბრყვილოა, ჰგონია, რომ მისი ახალი ცოლი ჩემზე უკეთესი ბ...ზია!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ნეიმარს ოპერაცია არ დასჭირდება



პსჟ-ს ბრაზილიელ ფორვარდს ნეიმარს ოპერაციის გაკეთება არ დასჭირდება, თუმცა ის მაინც საკმაოდ ხანგრძლივ სარეაბილიტაციო კურსს გაივლის.

ნეიმარი დაახლოებით 10 კვირას გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის მოედანზე აპრილში დაბრუნდება. ბრაზილიელი არა მხოლოდ მანჩესტერთან ორივე შეხვედრას, არამედ მეოთხედფინალის პირველ მატჩსაც გამოტოვებს, თუ პსჟ იქ გავიდა.

ნეიმარს შარშან მიღებული ტრავმა გაუმიზეზდა. გასულ სეზონში ნეიმარმა ამ ტრავმის გამო სამ თვეზე მეტი გამოტოვა და პსჟ-ს გადამწყვეტ შეხვედრებში ვერ დაეხმარა.

## გვარდიოლა: „ნიუკასლთან ნელა ვირჯებოდით და ამიტომ წავაგეთ“



მანჩესტერ სიტი სტუმრად ნიუკასლთან დამარცხდა 1:2 და სატურნირო მდგომარეობა უფრო გაირთულა.

გვარდიოლას გუნდისთვის ჩემპიონობისთვის ბრძოლა უკვე რთული იქნება და ეს თვითონ პეპსაც კარგად ესმის:

– ჩემი ფეხბურთელები ძალიან მიყვარს და რასაც ინგლისში მივაღწიე, სწორედ მათი დამსახურებაა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამით დავკმაყოფილდები. რაც შეეხება ნიუკასლთან შეხვედრას, ჩვენ სწრაფი თამაში არ გამოგვდიოდა, რითიც მეტოქემ ისარგებლა და გამარჯვება დაიმსახურა.

## დენის სუარესი კარიერას არსენალში გააგრძელებს



ბარსელონას ესპანელი ნახევარმცველი დენის სუარესი კარიერას არსენალში გააგრძელებს. მხარეები უკვე ყველა დეტალზე შეთანხმდნენ და სუარესი არსენალს იჯარის წესით შეუერთდება.

სეზონის ბოლოს ლონდონელებს ექნებათ გამოსყიდვის შესაძლებლობა და მათ 20 მილიონი ევროს გადახდა მოუწევთ.

დენის სუარესი ბარსელონაში ვილიარეალიდან გადავიდა და ის ესპანეთში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმცა ბარსელონაში მან მაღალ კონკურენციას ვერ გაუძლო და ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა.

## მარუან ფელაინი, შესაძლოა, ჩინეთში აღმოჩნდეს



მანჩესტერ იუნაიტედის ბელგიელი ნახევარმცველი მარუან ფელაინი, შესაძლოა, ჩინეთში აღმოჩნდეს. სოლსკიაერის მოსვლის შემდეგ ფელაინი საერთოდ ვეღარ ხვდება მანჩესტერის ძირითად შემადგენლობაში, რის გამოც მას კლუბის დატოვება აქვს გადაწყვეტილი. ფელაინის რამდენიმე ჩინური კლუბი ეპატიჟება.

ჩინეთში სატრანსფერო ფანჯარა თებერვლის ბოლომდე მიმდინარეობს, ამიტომ ფელაინის შეუძლია, თებერვალში შეუერთდეს რომელიმე ჩინურ კლუბს.

## ჯენარო გატუზომ პიონტეკი შეაქო



მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ გუნდის ახალწვეული კშიშტოფ პიონტეკი შეაქო და თქვა, რომ ის ნამდვილი გოლეადორია.

პიონტეკმა იტალიის თასის მეოთხედფინალში ნაპოლის ორი გოლი გაუტანა.

გატუზოს აზრით, პიონტეკი მილანის ვარსკვლავი გახდება.

– გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა და ნაპოლის დამარცხება ყოველთვის დიდი წარმატებაა. პიონტეკმა სასიამოვნოდ გამაკვირვა და მას დიდი მომავალი აქვს, – განაცხადა გატუზომ. კშიშტოფ პიონტეკი მილანში ჯენოადან გადავიდა, სადაც გუნდის მთავარი ბომბარდირი იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



ჩვენს უსაყვარლეს და არაჩვეულებრივ მთავარ რედაქტორს, ბატონ

**სოსო გოგინაშვილს**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დღეგრძელობასა და უფლის წყალობას! ყველა ოცნება აგსრულებოდეთ!

*სიყვარულით, „ახალი თაობა“*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 2. საინფორმაციო საშუალება; 3. ფოლადის ბაგირი გემზე; 5. გერმანელი მწერალი; 6. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 8. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 10. ჩანჩქერი კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 12. ძვირფასი საწერი კალმების მწარმოებელი ფირმა; 14. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 15. ებრაელთა სასულიერო პირი; 16. მდინარე ოზურგეთში.

**თარაზულად:** 1. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 4. კოჯრის, ტაბახმელისა და წავკისის ძველი საერთო სახელწოდება; 7. პორტუგალიური ღვინო; 9. თურქეთში მცხოვრები ქართული წარმოშობის ხალხი; 11. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 12. პირობითი სასჯელი; 13. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 17. საეკლესიო მგალობელთა გუნდი; 18. მოძღვარი, დამრიგებელი ინდოეთში; 19. კბილების ავადმყოფური კრაჭუნი ძილში; 20. გეომეტრიული ფიგურა.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

